ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარბიელი

სპორტული გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან ორშაბათი, 22 დეკემბერი 1997 №166 (531) ფასი 30 თეთრი

# ტყუპების ჰეთ-თრიქი

## აჩიმ მოიგო, შოთამ კი წააგო



არჩილმა გუშინ ბევრი რამ მოასწრო: ვოლენდამში ორი გოლის გატანაც და „ამსტერდამ არენაზე" შოთას ქომაგობაც. ტყუპისცალმა არა და „აიაქსმა" კი გააწბილა — შოთას გოლი და საგოლე პასი „ეინდჰოვენთან" მოსაგებად საკმარისი არ აღმოჩნდა.

ამსტერდამისა რა გითხრათ, მაგრამ ...უხანდელ „აიაქს" — „ეინდჰოვენის" ...ოლო ტურის მატჩს ბევრი ქართ...ელი გულშემატკივარი რომ მოუთ...ენლად ელოდა, ფაქტია. სამწუხარ...ოდ, ჩვენმა საქომაგო გუნდმა ჩემპი...ონატში პირველად წააგო, თანაც მე...ტად უნიათო თამაშით. ტელევიზორის ...ეკრანიდან როგორც ჩანდა, ამსტერ...დამელთა შორის საუკეთესო არვე...ლაძე გახლდათ. ჰოდა, გულმა აღარ ...მოგვითმინა, მატჩის დამთავრების ...შემდეგ შოთას შევეხმიანეთ:

— როცა უახლოეს მდევარს 18 ქუ...ლით უსწრებ, ძნელია, პირველი წრის ...ბოლო მატჩი სრულიად მობილიზებულმა ...ატარო. „ეინდჰოვენთან" სათამაშოდ სა...თანადოდ ვერ განვეწყვეთ, ამიტომაც და...ვისაჯეთ.

**— ოლსენი ნირწამხდარი იქნებო...და რაც უნდა იყოს, შინ დამარცხდით.**

— თქვენ წარმოიდგინეთ, სულაც არა. რა ...ქმა უნდა, ცოტათი უკმაყოფილება კი ეტ...ყობოდა, მაგრამ ცხვირი ნუ ჩამოუშვით, ...ტრაგედია არ მომხდარა, ახლა წადით, კა...რგად დაისვენეთ, ჩამოხვალთ და მეორე ...წრეს მივხედოთო — აქეთ დაგვამშვიდა.

**— ლაუდრუპი და ბლინდი რატომ ...შეცვალა?**

— ლაუდრუპს ნაღდად არ გამოუვიდა ...თამაში, მეტისმეტად ზანტად მოქმედე...ბდა. ბლინდი კი რამდენიმე დღის უვარ...გამოსადეგი... ...მებელი იყო, ვერც ფიზიკურად გაუ...ძლო თამაშის ტემპს.

**— დაცვა ერთობ სუსტად გამოი...ყურებოდა.**

— აკი გითხარით, სათამაშოდ არ ვიყა...ვით განწყობილი. თანაც დავიღალეთ. როგო...რცა, ყოველ მეოთხე დღეს ვთამაშობდით. ...ვ მოგება მაინც შეგვეძლო, ტაიმის ბოლო ...წუთზე გაშვებულმა გოლმაც იმოქმედა.

**— ანგარიშის გათანაბრების შანსიც ...ორ მოგეცათ. ერთხელ შენ არ გაგი...მართლა, მეორედ მსაჯმა თითქოს პე...ნალტზე დახუჭა თვალი...**

— სხვათა შორის, მსაჯმა ასპროცენტიანი პენალტი არ დაგვინიშნა. ფრანკ დე ბურს მცველი ისე დაეჯახა, ვიფიქრე, ჯარიმა გარანტირებული გვაქვს-მეთქი, მაგრამ სხვაგვარად კი მოხდა. ფრანკი გასახდელში ცოცხალ-მკვდარი შემოვიდა, ერთთავად მსაჯის გინებაში იყო. ჩემს მომენტზე რაღა ვთქვა, თითქოს ყველაფერი კარგად გავაკეთე, მეკარეც დავაწვინე, მაგრამ მცველმა მოასწრო და ბურთს ფეხი დააფარა. საგოლედ სწორედ ასე უნდა დამერტყა. იღბალმა მიმტყუნა, თორემ მეორესაც შევაგდებდი.

გუშინვე ამსტერდამის მახლობლად, ვოლენდამში, შოთას ტყუპისცალი აჩიის „ბრედა" ადგილობრივ კლუბს ეთამაშებოდა და იქაც არველაძემ იყოჩაღა, სამი უპასუხო გოლიდან ორი არჩილის ანგარიშზეა. თბილისში გამოსამგზავრებლად გამზადებული ძმაც შოთასთან იყო, „აიაქსს" კი „ამსტერდამ არენიდან" გულშემატკივრობდა:

— ჩვენი თამაში ადრე დაიწყო და მთელი „ბრედა" „აიაქსის" საგულშემატკივროდ დავრაზმე. ყველანი „არენაზე" ვიყავით, თანაც შესანიშნავ ხასიათზე სტუმრად გავიმარჯვეთ. პირველი მე შევაგდეკარის მახლობლად აუტიდან ჩაწოდებული თანაგუნდელმა თავით გადმომიგდო და შემოტრიალებით ბურთი შორეულ კუთხეში ჩავსვი. შემდეგ ორნი დავრჩით მეკარესთან პირისპირ, მაგრამ წამაქციეს და მსაჯმა პენალტი დანიშნა. ამერიკელმა სტიუარტმა მეორე გაიტანა, წერტილი კი მატჩს მისივე მოცელვისთვის ისევ მე დავუსვი პენალტით.

**— კოჭი გქონდა ამობრუნებული. ალბათ, გამოჯანმრთელდი.**

— კი, საგანგაშო არაფერია. რამდენიმე დღე იძულებით დავისვენე. ახლა ნორმალურ ფორმაში ვარ.

უკვე საკმაოდ გვიანი გახლდათ. მით უმეტეს, თამაშიდან ძმები ახალდაბრუნებულები იყვნენ. ჰოდა, მეტად აღარც ისინი შევაწუხებია და საუბარი ორიოდ ლამით გადავდეთ...

**კობა ინასარიძე**

# ...მთა მთას არ შეხვდება

## ...დონეცკში აშვეთიას ფოცხვერია დაუხვდა

...ახლახან ვწერდით, ტორპედოელ მიხეილ აშვეთიას დონეცკის „შახტიორმა" დაადგა ...თვალი. მაშინ ქუთაითურით უკრაინელთა დაინტერესება თვით „შახტიორის" ვიცე-...პრეზიდენტმა დაგვიდასტურა, თუმცა, ეს არ ვიკმარეთ და გუშინ დონეცკელთა მთავარ ...მწვრთნელ იარემჩენკოს შევეხმიანეთ. მიხეილ აშვეთია და „ტორპედოს" პრეზიდენტი ...ვე ჩამოვიდნენ, ამჟამად „შახტიორის" უფროსობასთან მიმდინარეობს მოლაპარაკება ...და უახლოეს დღეებში, ალბათ, ყველაფერი გადაწყდებაო — გვითხრა იარემჩენკომ. ...ვარჯიშით კი ჩვენებურს დონეცკელებთან ერთად ჯერაც არ უვარჯიშია, იქაურთა...ის უთქვამს, ფორმაში ვერ ვარო, თუმცა, მწვრთნელის თქმით, დღეისთვის ...აშვეთიას სავარჯიშოდ გასვლას ელიან. რაც შეეხება მეორე მიხეილს, რომლის ...გასვლაზე „შახტიორიდან" დიდხანს ლაპარაკობდნენ — თურმე ყველაზე მოსალოდნელი ...ყოფილა, რომ ფოცხვერია კვლავ „შახტიორში" დარჩეს.

THE FIFA/CONFEDERATIONS CUP
FOR THE KING FAHD TROPHY
SAUDI ARABIA 97
PRESENTED BY CHEVROLET

### ფინალი

**ბრაზილია 6:0 ავსტრალია**

**ბრაზილია: დიდა, კაფუ, ალდაირი, ჟუნიორ ბაიანო, დუნგა, რობერტო კარლოსი, სეზარ სამპაიო, დენილსონი, ჟუნინიო, რონალდო, რომარიო**

**ავსტრალია: ბოზნიჩი, ხორვატი (ბინგლი 56), ლაზარიდისი, ივანოვიჩი, ტობინი, ზელიჩი, ფოსტერი, ვიდუკა, ა. ვიდმარი (ალოიზი 30), კიუელი, ტ. ვიდმარი (მუსკეტი 30)**

**1:0, 2:0 რონალდო (15, 28), 3:0, 4:0 რომარიო (38, 53), 5:0 რონალდო (59), 6:0 რომარიო (753)**

ბრაზილიელებმა ავსტრალიელებს რაც 14 დეკემბერს დააკლეს, ახლა ერთბაშად ყველაფერი ცხვირში ამოადინეს — 6:0! ასეთი ანგარიშით, ალბათ, ფიფას მიერ ორგანიზებული არც ერთი ტურნირის ფინალი არ დამთავრებულა.

სიტყვა ფინალი თავისთავად უძლიერესთა ჭიდილს გულისხმობს, გუშინ კი მხოლოდ ერთი გუნდი თამაშობდა — ბრაზილია. ავსტრალია მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონთათვის მხოლოდ ხელის შეშლას ცდილობდა და ესეც არ გამოსდიოდა რიგიანად. მატჩამდე და საერთოდ ამ ტურნირში ფავორიტად თავიდანვე ბრაზილია ითვლებოდა და თავგადაპარსულმა ოკეანისგაღმელებმა დაამტკიცეს კიდეც, რომ იმ რვა გუნდში, რომლებიც კონფედერაციათა თასის მესამე გათამაშებაში მონაწილეობდნენ, მართლაც უძლიერესები იყვნენ. ვინც მათ თამაშს უყურებდა, ყველა დარწმუნდებოდა, რომ ვერც ერთი სხვა მონაწილე ზაგალოს უძლიერეს გუნდთან ახლოსაც ვერ მივიდოდა...

ფინალური მატჩის პირველივე წუთებში ნათელი გახდა, რომ ავსტრალია არა თუ მეტოქის დამმარცხებელი, მისთვის წინააღმდეგობის გამწევიც არ იყო. განა შეიძლება, საწყის ორ წუთში მეტოქემ ოთხი (!) საგოლე მომენტი შეგიქმნას, ანაც სულ რაღაც ათი წუთის შემდეგ მეკარე ოფლში ცურავდეს? მოკლედ, დასაწყისიდანვე ბრაზილიელებმა მაგრად შეუტიეს, მაგრამ თუ თავიდან ბოზნიჩმა გაუძლო და მეტოქე დროებით არ გაახარა, მერე მანაც ვეღარაფერი იღონა.

# ფიფას კონფედერაციათა თასი

# გოლმეიკერები

ანგარიშის გახსნა რონალდომ ითავა. მარჯვენა ფლანგზე გაჭრილმა ტურნირის საუკეთესო მოთამაშედ აღიარებულმა დენილსონმა მეტად ლამაზი და თავბრუდამხვევი ფინტებით მეტოქეები აქეთ-იქით მიაწვინა და პარასკევს, ევროპის საუკეთესო ფეხბურთელად დასახელებულ რონალდოს საგოლედ უპასა. პირველი ტაიმის შუაში ნერვებაშლილი მარკ ვიდუკა კაფუს ეუხეშა და გააგდეს, ავსტრალიელთა საპირველადგილო იმედებსაც ცივი წყალი გადაესხა.

მეტოქის კაცნაკლულად დარჩენიდან ოთხი წუთი იყო გასული, იგივე რონალდო, რომელიც ნახევარფინალსა და ფინალში ერთობ ძლიერად ირჯებოდა, ორ მცველს რომ გასცდა და ბოზნიჩს მეორედ გამოატანინა ბურთი კარიდან. მალე „ასტონ ვილას" მეკარეს იგივე პროცედურა რომარიომაც შეასრულებინა — კაფუს ჩაწოდებული, რომლის ჩაჭრაც ავსტრალიელებმა ვერ მოახერხეს, რომარიომ ერთობ ლამაზად მიიღო და ეფექტური დარტყმით სხვაობა სამ ბურთამდე გაზარდა. თავის მხრივ ბომბარდირთა დავაში შმიცერსაც წამოეწია.

შესვენებამდე 3:0 უკვე გამარჯვებას ნიშნავდა, მაგრამ ბრაზილიელებმა თამაში კვლავ მონდომებით გააგრძელეს და ყველა მიმართულებით მიმავალი გრძელი პასებით მატჩი უკეთესი სანახავი გახადეს. რაც შეეხება მეოთხე გოლს, იგი რონალდო-რომარიოს ანგარიშზეა. „ინტერის" თავდამსხმელმა სამპაიოს ჩაწოდებული რომარიოს თავით გადაუგდო, ამანაც მცველი ცრუმოძრაობით მოატყუა და თავად მესამე გოლის დარი გაიტანა.



**ბრაზილიელთა ფორვარდებმა რომარიომ და რონალდომ ფინალში სამ-სამი გოლი გაიტანეს**

ჰერ გასულა ხანი და რონალდომ ჰეთ-თრიქი შეასრულა — ჯერ კიდევ თავის ნახევარზე მყოფმა დუნგამ რონალდოს საოცარი სიზუსტით მისცა პასი. ამ უკანასკნელის დარტყმა უძლიერესი და უზუსტესი გამოდგა.

75-ე წუთზე მატჩის მეექვსე გოლი გავიდა — საჯარიმოში შეჭრილ რონალდოს ბოზნიჩი ფეხებში ჩაუვარდა და თავდამსხმელიც მინდორზე გაიშხლართა, რითაც მსაჯს პენალტი დასტყუა, არადა, წესის დარღვევა სულაც არ ყოფილა. თითქოს ხუთი გოლი არ ეყოფოდათ და რომარიომ ტერი ვენეიბლზის ბიჭებს მეექვსეც გაუტანა... ბოზნიჩი არც განძრეულა.

ავსტრალიელთა წამება და ბრაზილიელთა გართობა კიდევ საათის მეოთხედი გაგრძელდა.

ფინალი, რომელსაც ბევრი ჯგუფურ ტურნირში ნამაშევი 0:0-ის დაძაბულ გაგრძელებად მიიჩნევდა, მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონთა ვარჯიში გამოდგა, მაგრამ არაა გამორიცხული, ბრაზილიელები თუნდაც ვარჯიშებზე უფრო მეტ წინააღმდეგობას წასწყდომოდნენ, ვიდრე გუშინდელ შეხვედრაში.

### მატჩი მესამე ადგილისთვის

**ჩეხეთი 1:0 ურუგვაი**

**ჩეხეთი: სრნიჩეკი, სვობოდა, რადა, ვლაჩეკი, ფუკალი, ნედვედი, ნემეცი, ბეიბლი (ლასოტა 58), ლოკვენცი (პორნაკი 87), კუკა, შმიცერი (პობორსკი 77)**

**ურუგვაი: ფლორესი, ლოპესი (ერნანდესი 65), მონტერო, მენდესი, დე ლოს სანტოსი (კალვასი 46), ადინოლფი, გარსია, ვესპა (სილვა 79), რეკობა, ზალაიეტა, ოლივერა**

**1:0 ლასოტა (62)**

ევროპაში მეორენი, მსოფლიოში მესამენი — ჩეხები არიან. თუმცა, თუ ევრო 96 ნაღდად ძლიერი და პრესტიჟული ტურნირია, ამას კონფედერაციების თასზე ვერ იტყვი, ვერც მოპოვებული ბრინჯაოთი განსაზღვრავთ ჩეხების ადგილს დღევანდელ საფეხბურთო სამყაროში. ეს ცხრადღიანი ტურნირი უფრო სალაღობო გამოდგა, ვიდრე სერიოზული შეჯიბრება და ეს მოგვიანებით ფინალურმა შეხვედრამაც დაადასტურა. ბრაზილია — ავსტრალიის მატჩამდე კი ტურნირის ერთადერთი სარბიელი, მეფე ფახდის შესანიშნავი სტადიონი, ნახევარფინალში ძლეულებს დაეთმოთ.

ურუგვაელები ჩეხებს გასულ კვირაშიც შეხვდნენ და მაშინ 2:1 მოიგეს, თან ნახევარფინალის საგზურიც მოიპოვეს, მაგრამ ის შეხვედრა ჯგუფური იყო და გუშინდელი მატჩის დარი მნიშვნელობა არ ჰქონდა. როცა საქმე საქმეზე მიდგა, ევროპელთა უფრო გამოცდილმა და შეთამაშებულმა გუნდმა სამხრეთამერიკელ ახალგაზრდათა ნაკრებს საკმაოდ დამაჯერებლად სძლია. ამას ანგარიში არ გამოხატავს, მაგრამ ვინც თამაში ნახა, ადვილად შეამჩნევდა, რომ ჩეხები გაცილებით მაღლა დგანან მეტოქეზე. მართალია, ურუგვაელებმაც შეუტიეს ერთი ორჯერ ხერიანად, მაგრამ ბურთი სრნიჩეკის იქით აღარ წასულა. აი, ფლორესს კი ერთხელ გასცდა, მაგრამ სანამ შეცვლაზე შესული ლასოტა შეაგდებდა, მანამდე „კაიზერსლაუტერნის" თავდამსხმელმა პაველ კუკამ, რომელიც ამ ტურნირზე ძალზე არაზუსტად ასრულებს თანაგუნდელთა შეტევებს, ისეთი მომენტი გაუშვა ხელიდან, დამწყები ფეხბურთელიც რომ ითამაშებდა.

# ხან ვერცხლი, ხანაც ბრინჯაო



**დუშან უჰრინი**

კოლებდა. შემდგომ რეკობამ და ნედვედმა იერიშები გაცვალეს, მაგრამ სანამ საქმეში ფლორესი არ ჩაერთო, გოლი არ გავიდა. ურუგვაელთა კარის დარაჯმა შმიცერის დარტყმული ხელთ ვერ იგდო, იქვე მდგომ გუსტავო მენდესს კი თითქოს ჩაეძინა და ედუარდ ლასოტას ცარიელი კარის დალაშქვრა აღარ გასჭირვებია.

ეს იყო და ეს. ბრინჯაო დუშან უჰრინის ბიჭებმა ჩაიბარეს.

რაკი ჩეხთა მწვრთნელი ვახსენეთ, ბარემ აქვე დავძენთ, რომ იგი ამ გამარჯვების შემდეგ ნაკრებს დატოვებს. უჰრინმა ამის შესახებ მესამე ადგილზე გასვლისთანავე განაცხადა, თან დააყოლა, ძალიან მიხარია, ნაკრებს გამარჯვებული რომ ვტოვებ, ვიცი, ბიჭებს დიდი პოტენცია აქვთ, იმედია, უფრო დიდ გამარჯვებებს მიაღწევენო. უჰრინი ამიერიდან ექვსი თვით არაბთა გაერთიანებული საამიროების კლუბ „ალ ნასრს" უთავკაცებს. მის მემკვიდრეს ჩეხეთის ფეხბურთის ასოციაცია 10 იანვარს დაასახელებს.

სხვათა შორის, უჰრინის დარად სამხრეთაფრიკელთა მწვრთნელი კლაივ ბარკერიც გადადგა. მისი ეს ნაბიჯი ზედიზედ განცდილმა მარცხებმა განაპირობა.

**ლაშა გოდუაძე**

### ბომბარდირები

| | | |
|---|---|---|
| რომარიო | (ბრაზილია) | 7 |
| ვლადიმირ შმიცერი | (ჩეხეთი) | 5 |
| რონალდო | (ბრაზილია) | 4 |
| კუატემოკ ბლანკო | (მექსიკა) | 3 |

## ჰოლანდია

**სიტარდი 1:1 როდა**
0:1 ტორმა (19), 1:1 კული (66)

**მაასტრიხტი 0:0 უტრეხტი**

**ნაიმეგენი 2:0 სპარტა**
1:0 იანსენი (63), 2:0 ვან ეიკერენი (74)

**გრააფსხაპი 2:3 გრონინგენი**
0:1 ატველდი (16), 1:1 ვრემანი (47), 1:2 მანიო (79), 1:3 ბომბარდა (89), 2:3 გერიტსენი (90)

**ვიტესი 2:1 ტვენტე**
0:1 ბოსმანი (6), 1:1 პეროვიჩი (27), 2:1 ჩუროვიჩი (51)

**ვოლენდამი 0:3 ბრედა**
0:1 არველაძე (1), 0:2 სტიუარტი (573), 0:3 არველაძე (75)

**ფეიენოორდი 4:2 ტილბურგი**
1:0 ბოსველტი (31), 2:0 კრუსი (49), 2:1 ვაინშარდი (50), 3:1 კრუსი (55), 3:2 ვაინშარდი (66), 4:2 ვან გასტელი (853)

**აიაქსი 3:4 ეინდჰოვენი**
აიაქსი: ვან დერ სარი, მელხიოტი, ბლინდი (სიერი 54), ოლისე, ფ. დე ბური, რ. დე ბური, ლიტმანენი (გორი 38), ვიჩხე, ბაბანგიდა, ლაუდრუპი (ჰუქტრა 54), არველაძე
ეინდჰოვენი: ვატერეუსი, ვამპეტა, სტამი, ფაბერი, ნუმანი, იონკი (ივანი 90), კოკუ, დე ბილდე (ვალქსი 90), ზენდენი, ბრუგინკი, სტინგა
1:0 არველაძე (16), 1:1 ბრუგინკი (45), 1:2 დე ბილდე (47), 1:3 ბრუგინკი (53), 2:3 გორი (54), 2:4 ზენდენი (66), 3:4 ჰუქტრა (87)



აიაქსი — ეინდჰოვენი. შოთა არველაძემ ასე გაუტანა სტუმრებს გოლი

# შოთამაც ვერ უშველა

„ამსტერდამ არენაზე“ თავმოყრილ 51 ათას გულშემატკივარს სამწუხარო საღამო დაუდგა. „აიაქსმა“ ერთ თამაშში გაუშვა იმდენი, რამდენიც აქამდე ყველა მატჩში ჰქონდა გაშვებული. ამსტერდამელთა დაცვა ისე უხეშად ცდებოდა, რომ „ფილიპსის“ ფირმის ფეხბურთელებს მეტის გატანაც შეეძლოთ და რომ არა დიდებული ედვინ ვან დერ სარის რეაქტიული ნახტომები, გაიტანდნენ კიდეც.

არა, „აიაქსის“ ლიდერობას ამ წაგებით ჩრდილი არ მისდგომია. ჰოლანდიის ყველაზე ტიტულოვანი გუნდი უახლოეს მდევარს 15 ქულით უსწრებს, მაგრამ 19 თამაშიანი დაუმარცხებელი სვლა შეუწყდა. ახლა დაიწყება საშობაო არდადეგები, ფიქრის, განსჯისა და მეორე წრისთვის მზადების ხანა.

„ეინდჰოვენს“ მასპინძელთა დაცვაში არსებული ბზარები წინასწარვე რომ ჰქონდათ მონიშნული, მე-2 წუთიდანვე გამოჩნდა. მელხიოტის შეცდომის გამო განვითარებული შეტევა ვან დერ სარმა ბოლოწამს ფეხით ჩაჭრა. იმ წუთებში არც „აიაქსი“ დარჩა ვალში. შოთა არველაძემ, მოედნის ცენტრს ოდნავ გადაცილებულმა, საუცხოო პასით შეიყვანა მიქაელ ლაუდრუპი მეკარე რონალდ ვატერეუსთან პირისპირ, მაგრამ დანიელისა და გოლკიპერის შებრძოლება უკანასკნელის გამარჯვებით დასრულდა.

მე-11 წუთზე იააპ სტამმა ლაუდრუპი უხეშად წააქცია, რისთვისაც ყვითელი ბარათი მიიღო. ჯარიმა სანდი ოლისემ დაარტყა, მაგრამ კვლავ ვატერეუსმა იყოჩაღა. ერთ წუთში ისევ ლაუდრუპი წააქციეს სტუმრებმა. ამჯერად რონალდ დე ბურმა დასცხო, მცველისგან ასხლეტილი გვერდით მდგომ ტყუპისცალს ფრანკს მოუგორდა, რომლის დარტყმამ ისევ ვატერეუსის მზადყოფნა დაადასტურა. მალე აქეთა კართან შეიქმნა ხიფათი: დე ბილდემ ფაბერს გადააწოდა, ფაბერმა გაისროლა, ოღონდ ახლა ვან დერ სარის ოსტატობის გამოსავლენად. ასე მოვიდა მე-16 წუთიც. მარჯვენა ფრთაზე მოედნის შუაში „აიაქსის“ სასარგებლოდ ჯარიმა დაინიშნა. ფრანკ დე ბურმა იმავე ფრთაზე მოხვეული ტრაექტორიით გადააწოდა ბურთი ტიჯანი ბაბანგიდას, ნიგერიელმა საჯარიმოში შოთას გაუჭრა, შოთამ მიიღო და მარჯვენა ფეხით ვატერეუსისგან მარჯვენა ცხრიანში გაიტანა.

გოლის შემდეგ თამაშის სასწორმა გათანაბრება დაიწყო. 23-ე წუთზე ბაბანგიდას დარტყმული მოიგერია „ეინდჰოვენის“ მეკარემ, შემდეგ კი მასპინძელთა კართან გამწვავდა მდგომარეობა. ერთ ეპიზოდში ორჯერ გაიბრწყინა ვან დერ სარმა. ჯერ იყო და რუმინელი ოვიდიუ სტინგას ახლოდან დარტყმული უკუაგდო ფეხით, ხოლო იონკის შორიდან დამატებული ნახტომით კუთხურზე მოიგერია.

34-ე წუთზე არბიტრს პენალტის დანიშვნა მართებდა. საჯარიმოს მარცხენა მხრიდან არველაძემ გონივრულად გადასცა ლაუდრუპს, რომელიც უფრო ღრმად მიიწევდა, მაგრამ წააქციეს. წესის დარღვევა მსაჯს გამოეპარა. აი, ამ მომენტის მერე, შესვენების მაუწყებელ სასტვენამდე „აიაქსს“ იქით კართან ხიფათი აღარ შეუქმნია, PSV კი მის საჯარიმოს მოალყესავით შემოეჭდო და 45-ე წუთზე დაუფასდა კიდეც. ვან დერ სარმა მეტოქის პირველი დარტყმა მოიგერია, განმეორებითი — ველარ. ბრუგინკმა გაქვითა და ტაიმიც დასრულდა.

შესვენების წინ გოლის გაშვება ნებისმიერი გუნდისთვის ტრავმაა, ფსიქოლოგიური ჭრილობა. გამშვებს ნირი უხდება, გამტანი პირიქით, იშტაზე მოდის. ძალიან ძლიერი უნდა იყოს გუნდი, ამას რომ გაუმაგრდეს, მით უმეტეს, მაღალი დონის შეხვედრაში. „აიაქსი“, მოგეხსენებათ, ძლიერი გუნდია, მაგრამ არც PSV გახლავთ ჯაბანი. არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ ეინდჰოვენელთა მწვრთნელი დიკ ადვოკაატია, ფეხბურთის საქმეებში ჭიპმოჭრილი კაცი. ამიტომაც იყო საინტერესო, როგორ განვითარდებოდა მოვლენები კართა შეცვლის შემდეგ.

კართა შეცვლის შემდეგ მოვლენები სტუმართა სასრგებლოდ განვითარდა. „ეინდჰოვენმა“ პრესინგს მიმართა, მასპინძლებს ფანტაზიის გაქანების საშუალება არ მისცა, ჩვენებურად რომ ვთქვათ, სადაც აიაქსელი ნახა, იქვე მიახრჩო. ადვოკაატის ასეთმა ტაქტიკამ შედეგი გამოიღო. ამსტერდამელებმა მახრჩობელა ტაქტიკას სწრაფი თამაში ვერ დაუპირისპირეს, მათმა აწ უკვე ნაპრალებიანმა დაცვამაც თავისი „ავი“ საქმე განაგრძო და ყოველივე ამან ნაყოფი ხელადვე გამოიღო.

47-ე წუთზე ჟილ დე ბოლდემ, ისევ და ისევ „აიაქსის“ უკანახაზელთა უხეში შეცდომის გამო, PSV დააწინაურა. ექვსი წუთის შემდეგ სტუმრებმა უკვე ორგოლიან უპირატესობას მიაღწიეს: მარჯვენა ფრთიდან ვამპეტამ ბრუგინკს გადააწოდა, ბრუგინკმა კი დაუბრკოლებლად გაიტანა თავისი მეორე გოლი ამ შეხვედრაში. ამ გოლიდან 60 წამში „აიაქსს“ იმედი ჩაესახა. საჯარიმოში, მარცხენა ფრთაზე შოთამ თითქმის კუთხურის ხაზიდან მცველთან ბრძოლაში ბურთი დაკვირვებით გადააწოდა გორს, რომლის დარტყმამ ანგარიში შეცვალა. იმედი მკრთალი და უსაგნო გამოდგა. 66-ე წუთზე ზენდენმა ისევ მარჯვენა ფრთიდან დიაგონალური პასი მიიღო და შეუჩერებლივ დაარტყა. ბურთი მეოთხედ შევარდა ვან დერ სარის კარის ბადეში.

ბოლო წუთებში „აიაქსმა“ შტურმის მოწყობა სცადა. მართალია, PSV-მ ღირსეული გალავანი შემოარტყა თავის კარს, მაგრამ ამსტრედამელებმა ერთი მაინც გაიტანეს და ერთიც კინაღამ.

86-ე წუთზე მარჯვნიდან მელხიოტი შეიჭრა სტუმართა საჯარიმოში, მეკარის მოედანზე დაბალი პასით შეაგდო ბურთი, საიდანაც იგი მცველებმა კუთხურზე გადააგდეს. კუთხური ისევ მელხიოტმა ჩააწოდა და შორეულ ძელთან მდგომმა ჰუქსტრამ ისევ ერთამდე დაიყვანა სხვაობა.

არბიტრმა თითქმის 5 წუთი დაამატა და დროის ამ მონაკვეთში „აიაქსს“ გათანაბრების საშუალება მიეცა. ბურთი საჯარიმოში შოთამ მიიღო, მეკარეს შემოურბინა, ერთ კუთხეს მცველი ფარავდა, ქართველმა დაუცველ მხარეს დაარტყა, მაგრამ უკნიდან ჩამოსწრებულმა სხვა ეინდჰოვენელმა ბურთს ფეხი წაჰკრა და ზემოხსენებულ მცველს მიუგორა.

— ეს იყო საშინელი მატჩი. ჩვენ გავრისკეთ და დამსახურებულად გავიმარჯვეთ — თქვა მატჩის შემდეგ „ეინდჰოვენის“ მწვრთნელმა — ჩვენ გვინდოდა „აიაქსის“ შევიწროება და ეს შევძლით.

— 1:0-ს ვიგებდით, 2:0 ვერ გავხადეთ, მეორე ტაიმში კი ნირი წაგვიხდა. პერსონალურ მეურვეობაში მეტოქე უფრო ძლიერი იყო — განაცხადა მორტენ ოლსენმა და დასძინა — ბოლო წუთებში გონს მოვეგეთ და... ერთი უეჭველი პენალტი არ დაგვინიშნა მსაჯმა... რამდენიმე ფეხბურთელი ტრავმირებული გვყავდა: იარი ლიტმანენი, დენი ბლინდი, მაგრამ ეს გამართლება არ არის.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| აიაქსი | 20 | 18 | 1 | 1 | 62:8 | 55 |
| ეინდჰოვენი | 19 | 11 | 7 | 1 | 56:24 | 40 |
| ვიტესი | 20 | 11 | 5 | 4 | 49:33 | 38 |
| ფეიენოორდი | 20 | 10 | 5 | 5 | 35:25 | 35 |
| ჰერენვენი | 19 | 10 | 5 | 4 | 31:23 | 35 |
| ტილბურგი | 20 | 9 | 3 | 8 | 35:31 | 30 |
| სპარტა | 20 | 7 | 6 | 7 | 37:35 | 27 |
| სიტარდი | 20 | 8 | 3 | 9 | 27:36 | 27 |
| ბრედა | 20 | 7 | 4 | 9 | 24:25 | 25 |
| ნაიმეგენი | 20 | 8 | 1 | 11 | 24:40 | 25 |
| უტრეხტი | 18 | 7 | 3 | 8 | 34:39 | 24 |
| როდა | 20 | 6 | 5 | 9 | 27:27 | 23 |
| ტვენტე | 19 | 5 | 7 | 7 | 22:24 | 22 |
| გრააფსხაპი | 20 | 5 | 6 | 9 | 24:22 | 21 |
| გრონინგენი | 20 | 4 | 7 | 9 | 26:37 | 19 |
| მაასტრიხტი | 20 | 5 | 3 | 12 | 19:47 | 18 |
| ვალვაიკი | 19 | 3 | 6 | 10 | 23:40 | 15 |
| ვოლენდამი | 20 | 2 | 5 | 13 | 13:52 | 11 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| მახლასი (ვიტესი) | 22 |
| ჰამინგი (სიტარდი) | 13 |
| დე ბილდე (ეინდჰოვენი) | 12 |
| ლიტმანენი (აიაქსი) | 11 |
| დე ნოაიერი (სპარტა) | 11 |
| არველაძე (აიაქსი) | 10 |

## ბელგია

მე-17 ტური. სტანდარდი — გენტი 3:3; მუსკრონი — გენკი 0:2; შარლერუა — ლიერსი 3:0; ლოკერენი — მოლენბეკი 5:0; ანდერლეხტი — ბევერენი 2:0; ლომელი — ვესტერლო 2:1; სენტ ტრიუდენი — ბრიუგე 0:2; ეკერენი — ანტვერპენი 2:0; აალსტი — ჰარელბეკი 3:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბრიუგე | 17 | 15 | 2 | 0 | 45:10 | 47 |
| გენკი | 17 | 10 | 3 | 4 | 38:22 | 33 |
| ჰარელბეკი | 17 | 8 | 7 | 2 | 33:19 | 31 |
| ეკერენი | 17 | 9 | 3 | 5 | 27:21 | 30 |
| ლომელი | 17 | 8 | 3 | 6 | 29:24 | 27 |
| ანდერლეხტი | 17 | 8 | 3 | 6 | 23:19 | 27 |
| ლიერსი | 17 | 7 | 4 | 6 | 28:22 | 25 |
| ლოკერენი | 17 | 8 | 0 | 9 | 32:37 | 24 |
| სტ. ტრიუდენი | 17 | 6 | 5 | 6 | 17:20 | 23 |
| შარლერუა | 17 | 6 | 5 | 6 | 24:31 | 23 |
| გენტი | 17 | 5 | 7 | 5 | 28:26 | 22 |
| აალსტი | 17 | 6 | 3 | 8 | 28:31 | 21 |
| ვესტერლო | 17 | 5 | 5 | 7 | 26:34 | 20 |
| სტანდარდი | 17 | 4 | 7 | 6 | 22:24 | 19 |
| მუსკრონი | 17 | 4 | 4 | 9 | 16:23 | 16 |
| ბევერენი | 17 | 3 | 5 | 9 | 17:28 | 14 |
| მოლენბეკი | 16 | 3 | 2 | 11 | 16:42 | 11 |
| ანტვერპენი | 16 | 2 | 2 | 12 | 15:31 | 8 |

## პორტუგალია

მე-14 ტური. სალგეირუში — მარიტიმუ 2:0; ბენფიკა — ვარზიმი 4:0; გიმარაეში — ამადორა 1:0; შავეში — ლეცა 0:1; რიუ ავე — ბელენენსეში 3:0; ფარენსე — კამპომაიორენსე 2:2; სპორტინგი — აკადემიკა 1:0; ბრაგა — სეტუბალი 2:2; ბოავიშტა — პორტუ დღეს გაიმართება

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუ | 13 | 9 | 4 | 0 | 28:10 | 31 |
| გიმარაეში | 14 | 9 | 1 | 4 | 21:9 | 28 |
| რიუ ავე | 14 | 8 | 3 | 3 | 25:17 | 27 |
| ბენფიკა | 14 | 6 | 5 | 3 | 20:11 | 23 |
| სპორტინგი | 14 | 6 | 5 | 3 | 13:9 | 23 |
| სალგეირუში | 14 | 5 | 6 | 3 | 18:13 | 21 |
| კამპომაიორ. | 14 | 5 | 4 | 5 | 19:19 | 19 |
| ლეცა | 14 | 5 | 4 | 5 | 15:16 | 19 |
| ამადორა | 14 | 5 | 4 | 5 | 15:17 | 19 |
| მარიტიმუ | 14 | 5 | 3 | 6 | 14:16 | 18 |
| ბრაგა | 14 | 4 | 5 | 5 | 19:21 | 17 |
| ფარენსე | 14 | 3 | 7 | 4 | 15:18 | 16 |
| ვარზიმი | 14 | 3 | 6 | 5 | 8:19 | 15 |
| სეტუბალი | 14 | 3 | 5 | 6 | 12:16 | 14 |
| აკადემიკა | 14 | 3 | 5 | 6 | 10:14 | 14 |
| ბოავიშტა | 13 | 2 | 7 | 4 | 7:10 | 13 |
| ბელენენსეში | 14 | 1 | 6 | 7 | 8:19 | 9 |
| შავეში | 14 | 2 | 2 | 10 | 9:22 | 8 |

# შობიდან შობამდე, ლიგიდან ლიგაში

## გერმანია

XX ტური

**არმინია 2:1 კარლსრუე**
0:1 რაიხი (36), 1:1 ბაგერი (58), 2:1 დაეი (88)

**ლევერკუზენი 6:1 შტუტგარტი**
1:0 ბაინლიხი (2), 2:0 რინკი (15), 3:0 ბაინლიხი (19), 3:1 ბობიჩი (34), 4:1 ლენჰოფი (76), 5:1 რინკი (79), 6:1 ჰაინცე (80)

**დუისბურგი 2:0 ბოხუმი**
1:0, 2:0 სალუ (49, 70)

**დორტმუნდი 2:2 შალკე**
1:0 ბუტი (26), 1:1 კლიუევი (75), 2:1 მილერი (79), 2:2 ლემანი (90)

**კაიზერი 3:2 კიოლნი**
1:0 ხრისტოვი (25), 1:1 მუნტეანუ (45), 2:1 რიდლი (59), 2:2 ჰოლსტერი (75), 3:2 შიოენბერგი (82)

**გლადბახი 4:2 ჰერტა**
0:1 კოვიჩი (5), 0:2 პრეტცი (7), 1:2 კლინკერტი (11), 2:2 პულიშსენი (37), 3:2 ეფენბერგი (69), 4:2 პედერსენი (80)

**ვოლფსბურგი 2:3 ბაიერნი**
0:1 შოლი (5), 0:2 იანკერი (26), 1:2 რეინა (45), 2:2 დამაიერი (47), 2:3 კუფური (79)

**მიუნხენი 0:1 ვერდერი**
0:1 მაქსიმოვი (57)

**ჰამბურგი 0:1 ჰანზა**
0:1 ბარბარეცი (13)

გერმანიის ჩემპიონატის მეოცე ტური ბოლო იყო ზამთრის არდადეგების წინ. პარასკევს ორი მეტად დაძაბული მატჩი გაიმართა.

დორტმუნდში ჩემპიონთა თასის მფლობელმა „ბორუსიამ“ უეფას თასის გამარჯვებული, გელზენკირხენის „შალკე“ მიიღო. თამაში ძალიან საინტერესო გამოდგა. პირველი ტაიმი მასპინძლებმა მოიგეს 1:0, მეორე ნახევარშიც ისინი ფლობდნენ ინიციატივას და 94-ე წუთამდე იგებდნენ კიდეც 2:1, მაგრამ მსაჯის მიერ დამატებული დროის მეხუთე წუთზე დორტმუნდელთა კარში კუთხური დაინიშნა. ოლაფ ტონის ჩაწოდებული ბურთი „შალკეს“ გოლკიპერმა იენს ლემანმა თავით გაგზავნა დორტმუნდელთა კარში. აღსანიშნავია, რომ ლემანის კარიერაში ეს პირველი გოლი არ მახლდათ. 2:2 — ასე დამთავრდა ეს მატჩი.

მიონხენგლადბახის „ბორუსიამ“ უმასპინძლა ბერლინის „ჰერტას“, რომელმაც პირველი წრის დასასრულს კარგი თამაშის წყალობით აშკარად გაიუმჯობესა სატურნირო მდგომარეობა. „ბორუსია“ აუტსაიდერია და ამიტომ აქტიურობა მართებდა, მაგრამ თავიდან სტუმრებმა იმარჯვეს — მათ პირველ წუთებში ორი გოლი გაუტანეს მასპინძლებს. მიონხენგლადბახელთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ისინი არ შედრკნენ, ეფენბერგმა და ფლიპსენმა ლიდერობა იტვირთეს და „ბორუსიამ“ 4:2 გაიმარჯვა.

შაბათს ლიდერი „კაიზერსლაუტერნი“ შინ „კიოლნს“ ეთამაშებოდა. მასპინძლებს არ ჰყავდათ საუკეთესო ფორვარდები — მარშალი და კუკა. „კიოლნმა“ 38 ათასი მაყურებლის თვალწინ დიდი წინააღმდეგობა გაუწია ბუნდესლიგის ლიდერს, მაგრამ თამაშის დამთავრებამდე ათიოდე წუთით ადრე „კაიზერსლაუტერნმა“ შეძლო გამარჯვების გოლის გატანა — 3:2. უნდა აღინიშნოს, რომ „კაიზერსლაუტერნის“ ფეხბურთელები ძალზე ხშირად აღწევენ წარმატებას მატჩის ბოლო წუთებზე, რაც გუნდის ბრძოლისუნარიანობაზე მეტყველებს. ეს კი, რაღა თქმა უნდა, მწვრთნელის, ოტო რეჰაგელის დამსახურებაა. სტუმართაგან რუმინელი ლეგიონერები, მუნტიანუ და ვლადოიუ გამოირჩეოდნენ.

— ეს იყო საშინელი თამაში, ნამდვილი კოშმარი მაყურებლისთვის, მაგრამ არა მწვრთნელთათვის. ჩვენ პირველი ტაიმის შემდეგ სიამოვნებით შემოვდებლით მატჩის თაროზე — განაცხადა „კაიზერის“ თავკაცმა ოტო რეჰაგელმა, რომელმაც [illegible] 2000 წლამდე [illegible] კონტრაქტი — ერთი წლის წინ პირველ ადგილზე ვიყავით, ოღონდ მეორე ბუნდესლიგაში. ბიჭებმა მას მერე მთელი წელიწადი იბრძოლეს, რათა ახლა შობაზე სადღესასწაულო განწყობა ჰქონოდათ. იმედი მაქვს, რომ არდადეგების მერეც ასევე განვაგრძობთ.

ქვეყნის ჩემპიონი, მიუნხენის „ბაიერნი“ „ვოლფსბურგს“ ესტუმრა. ბუნდესლიგის დებიუტანტი „ვოლფსბურგი“ საკმაოდ დამაჯერებლად ასპარეზობს, მან რამდენიმე ტურის წინ შინ „კაიზერსლაუტერნიც“ კი დაამარცხა. ერთი სიტყვით, საინტერესო პაექრობის მოლოდინებს იმედი არ გაუცრუვდათ. მიუნხენელებმა დიდი უპირატესობით წარმართეს შეხვედრის დასაწყისი და მალე ორი ბურთითაც დაწინაურდნენ, მაგრამ „ბაიერნის“ არასტაბილურობამ ახლაც იჩინა თავი. ტაიმის მიწურულს მასპინძლებმა შეძლეს ერთი გოლის გაქვითვა, ხოლო მეორის დასაწყისში სულაც გაათანაბრეს ანგარიში. განსაკუთრებით კარგად გამოიყურებოდა ამერიკელი ლეგიონერი კლაუდიო რეინა თუმცა, მიუნხენელთა გამოცდილებამ მაინც თავისი გაიტანა და შეხვედრის მიწურულს მათ მატჩის ბედის შეტრიალება არ გასჭირვებიათ — 3:2.

— ეს გამარჯვება ძალზედ მნიშვნელოვნად მიმაჩნია — თქვა „ბაიერნის“ მწვრთნელმა ჯოვანი ტრაპატონიმ — ბუნებრივია, რომ კმაყოფილი ვარ. მატჩი ერთობ ამაღელვებელი გამოდგა. მნიშვნელოვანი იყო ისიც, რომ „კაიზერსლაუტერნს“ ბევრად არ ჩამოვრჩით.

ლევერკუზენის „ბაიერმა“ შინ გაანადგურა „შტუტგარტი“. კარგად ითამაშეს ბაინლიხმა და ბრაზილიელმა რინკმა, რომელთაც ორ-ორი გოლი შეაგდეს, სტუმართა ერთი გოლი კი ფრედი ბობიჩის ანგარიშზეა.

„მიუნხენ 1860“ საკუთარ მოედანზე დამარცხდა ბრემენის „ვერდერთან“ 0:1. მიუნხენელთა მწვრთნელი ლორანტი საშობაო შესვენების შემდეგ, ალბათ, აღარ გააგრძელებს გუნდთან მუშაობას.

„დუისბურგმა“ ბაშირ სალუს ორი გოლის წყალობით დაამარცხა „ბოხუმი“, ხოლო ბოლო ადგილზე მყოფმა „არმინიამ“ მწვავე ბრძოლაში „კარლსრუეს“ აჯობა 2:1.

ახლა ბუნდესლიგაში თვენახევრიანი შესვენებაა. იმედია, ჩემპიონატი, როგორც ყოველთვის, ბოლომდე დაძაბული და საინტერესო იქნება.

გია გილიგაშვილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კაიზერი | 20 | 14 | 3 | 3 | 42:25 | 45 |
| ბაიერნი | 20 | 12 | 5 | 3 | 43:25 | 41 |
| შტუტგარტი | 20 | 10 | 5 | 5 | 40:28 | 35 |
| ლევერკუზენი | 20 | 9 | 7 | 4 | 40:23 | 34 |
| შალკე | 20 | 8 | 8 | 4 | 23:18 | 32 |
| ჰანზა | 20 | 8 | 4 | 8 | 30:27 | 28 |
| დუისბურგი | 20 | 8 | 4 | 8 | 25:25 | 28 |
| ვერდერი | 20 | 8 | 4 | 8 | 24:30 | 28 |
| ვოლფსბურგი | 20 | 8 | 3 | 9 | 27:30 | 27 |
| დორტმუნდი | 20 | 6 | 7 | 7 | 33:30 | 25 |
| ჰერტა | 20 | 7 | 4 | 9 | 25:33 | 25 |
| კარლსრუე | 20 | 6 | 6 | 8 | 32:38 | 24 |
| გლადბახი | 20 | 5 | 7 | 8 | 34:38 | 22 |
| არმინია | 20 | 7 | 1 | 12 | 25:32 | 22 |
| მიუნხენ 1860 | 20 | 5 | 6 | 9 | 22:34 | 21 |
| ჰამბურგი | 20 | 5 | 5 | 10 | 25:32 | 20 |
| ბოხუმი | 20 | 5 | 5 | 10 | 23:32 | 20 |
| კიოლნი | 20 | 6 | 2 | 12 | 32:45 | 20 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| ულფ კირსტენი (ლევერკუზენი) | 14 |
| ოლაფ მარშალი (კაიზერი) | 13 |
| კარსტენ იანკერი (ბაიერნი) | 10 |
| ფრედი ბობიჩი (შტუტგარტი) | 10 |
| კრასიმირ ბალაკოვი (შტუტგარტი) | 10 |
| როი პრეგერი (ვოლფსბურგი) | 10 |
| ბერნჰარდ ვინკლერი (მიუნხენი) | 10 |

### მეორე ბუნდესლიგა

გამოტოვებული მატჩი. კარლ ცაისი — ფორტუნა 1:3

სარეკლამო სააგენტო
კოკი და კომპანია
რეკლამის დამზადება
1. ფარების დამზადება, მოხატვა და განთავსება მოკლე ვადაში
2. განათებული აბრების დამზადება
3. ფერადი წებოვანი რეკლამები
4. სარეკლამო საათებზე რეკლამის განთავსება
კომპიუტერული მომსახურება
ესკიზების, ბუკლეტების, სავიზიტო და მოსაწვევი ბარათების დამზადება
25% ფასდაკლებით!!!
მისამართი: ალ. ყაზბეგის 42
ვაჭრობის სამინისტრო, 2 კორ. 3 სარ.
ტელ. 95 96 56

## ინგლისი

XIX ტური

**ასტონ ვილა 1:1 საუთჰემპტონი**
1:0 ტეილორი (64), 1:1 ოსტენსტადი (72)

**ბლეკბერნი 3:0 ვესტ ჰემი**
1:0 რიპლი (22), 2:0, 3:0 დაფი (50, 72)

**დერბი 0:0 კრ. პალასი**

**ლიდსი 2:0 ბოლტონი**
1:0 რიბეირო (68), 2:0 ჯიმი (81)

**ლესტერი 0:1 ევერტონი**
0:1 სპიდი (89პ)

**ლივერპული 1:0 ქოვენთრი**
1:0 ოუენი (14)

**ნიუკასლი 0:1 მანჩესტერი**
0:1 კოული (67)

**შეფილდი 1:4 ჩელსი**
0:1 პეტრესკუ (31), 0:2 ვიალი (56), 0:3 ლებეფი (65პ), 1:3 ჰემბიჯი (71), 1:4 ფლო (84)

**ტოტენჰემი 3:0 ბარნსლი**
1:0 ნილსენი (6), 2:0, 3:0 გინოლა (11, 17)

**უიმბლდონი — არსენალი**
*დღეს გაიმართება*

# გულიტი მილანში არ დაბრუნდება

ზუსტად წელიწადი და ოთხი დღე გავიდა მას შემდეგ, რაც სტუმრად მოიგო „ევერტონმა". მერე გამოხდა ხანი და ლივერპულის „ცისფერმა" გუნდმა დანავსული სერია შეწყვიტა. შარშანდელი 16 დეკემბრიდან მოყოლებული ევერტონელებს გასვლაზე მოგება ვერა და ვერ დაეჭაშნიკებინათ, მაგრამ უელსელი გარი სპიდის ზუსტად დარტყმული პენალტის წყალობით გაიმარჯვეს. ლიგის თასის მფლობელი „ლესტერი" ამ თამაშში კარგად ვერ გაისარჯა, თორემ „ევერტონი" უნდა დაემარცხებინა. მასპინძლები უნიათოდ თამაშობდნენ, დაცვაში ხშირად ცდებოდნენ, ამერიკელი კეისი კელერი თავს არ ზოგავდა და სტუმრების შეტევებს იგერიებდა, მაგრამ გუნდი მაშინ დაალალატა, როცა მატჩი თითქმის დასრულებული იყო — დაცვის მორიგი შეუთანხმებელი თამაშის გამო სტუმართა თმაგრძელი ახალგაზრდა თავდამსხმელი დენი კადამარტერი კელერთან პირისპირ დარჩა, მეკარემ კი არც აცია, არც აცხელა და შემტევს კინაღამ კისერი წაამტვრევინა. აშკარა პენალტი სპიდმა გოლად აქცია და „ევერტონს" როგორც იქნა, სტუმრად მოაგებინა. გამარჯვებულთა კრიტიკის ქარცეცხლში გახვეულმა მწვრთნელმა, ჰოვარდ კენდალმა კი განაცხადა, დრო იყო, სტუმრად მოგვეგო, თანაც ამ შეხვედრაზე რაც ვიმსჯელებთ, მეტოქე ვერაფერი სანახავი იყოო. ეს „ევერტონის" პირველი გოლი გახლდათ ბოლო ოთხ მატჩში.

„ევერტონის" გულშემატკივართა გულის გასახეთქად არც მეორე ლივერპულურმა გუნდმა შეირცხვინა თავი. „ენფილდ როუდზე", ზემოხსენებული შეხვედრის დარად, ცენტრალურ ფიგურად ახალგაზრდა თავდამსხმელი მაიკლ ოუენი იქცა — „ლივერპულის" და ინგლისელთა იმედმა ერთადერთი გოლი შეაგდო.

ინგლისის ჩემპიონატის მეცხრამეტე ტურის შესახებ თხრობა აუტსაიდერით დავიწყე და მაჩანჩალათა ამბავს „ტოტენჰემით" დავასრულებთ — ლონდონელმა „მამლებმა", რომლებსაც ბოლო შვიდი შეხვედრიდან ექვსი წაეგოთ, ახალი მწვრთნელის, შვეიცარიელი კრისტიან გროსის თავკაცობით ოდენ მეორე გამარჯვება მოიპოვეს — მათ წყალწაღებული „ბარნსლი" იმსხვერპლეს 3:0. სამივე გოლი ლეგიონერთა ანგარიშზეა, მაგრამ თუ დანიელი ნილსენის და ჟინოლას პირველი ორი გოლი ჩვეულებრივზე ჩვეულებრივი იყო, ფრანგის მიერ გატანილი თავური, რომელიც მისთვის ამ შეხვედრაში მეორე გამოდგა, მართლაც ბრწყინვალე სანახავი გახლდათ. პირველ ტაიმში, უფრო სწორედ მის დასაწყისში, მოპოვებული დიდი უპირატესობის გაზრდა „ტოტენჰემს" კიდევ შეეძლო, მაგრამ მეტი ვერაფერი მოახერხა.

რაც შეეხება ლიდერებს, „მანჩესტერ იუნაიტედის" მდევრებმა „ჩელსიმ" და „ბლექბერნმა" კვლავ იმარჯვეს. თავდაპირველად ლონდონელ არისტოკრატებზე ვთქვათ.

რუდ გულიტის ბიჭებმა „ჰილსბროში" მასპინძლები მიანგრ-მოანგრიეს და „შეფილდ უენსდეის" შეახსენეს, რომ მიუხედავად ბოლო ტურებში მომჯობინებისა, ისინი ლიდერებთან გაშინაურების ღირსნი ჯერჯერობით არ არიან. „ჩელსიმ" წინა კვირას შინ ცხრა კაცით ითამაშე „ლიდსს" გოლი ვერ გაუტანა, ახლა კი ერთბაშად ოთხი შეაგდო. განსაკუთრებით ალსანიშნავია იტალიელი ვიალის გოლი — გულიტი მას იშვიათად ათამაშებს, მაგრამ ექსიუვენტუსელმა რამდენჯერაც ითამაშა, თითქმის ყოველთვის შეაგდო. რაკი გულიტი ვახსენეთ ორიოდ სიტყვა მასზეც ვთქვათ. ბრიტანეთის ბულვარულმა პრესამ ამ ბოლო ხანებში მეტად პოპულარული გახადა ჰოლანდიელი მწვრთნელის „ჩელსიდან" შესაძლო წასვლის ამბავი. სენსაციების მოყვარული ჟურნალისტები ერთ დღეს სხვას წერდნენ, მეორე დღეს — სხვას და ასე კარგა ხანს გაგრძელდებოდა, თავად გულიტს რომ არ ემარეჯა. გაზეთებმა იგი ხან „გლაზგო რეინჯერსის", ხან „ფეიენოორდის" ხანაც „მილანის" მწვრთნელად მონათლეს, შესაძლო ვარიანტებით კი ხალხს ყურები გამოუჭედეს. ჭორები, ეტყობა, გულიტსაც მობეზრდა და განაცხადა, ლონდონში თავს კარგად ვგრძნობ, ჩემს ადგილზე არცერთი ჭკუათმყოფელი სხვაგან არ წავიდოდა. რაც შეეხება მილანს, იქ დამბრუნებელი არ ვარო. რატომ გამოყო გულიტმა მაინცდამაინც მილანი, გაუგებარია, მაგრამ აშკარაა, მას იტალიური ფეხბურთის ერთ-ერთ ლიდერთან ცუდი მოგონებები აკავშირებს.

რაც შეეხება შეფილდელებთან მოგებულ მატჩს, გუნდის თამაშით გულიტმა ერთობ იხარა, ხედავთ, სულ ვილაც გვაკლია, მაგრამ გოლის გამტანი მუდამ მოგვეძებნებაო. მართლაც „ჩელსის" პრემიერლიგაში, „მანჩესტერ იუნაიტედთან" ერთად, ყველაზე მეტი — 45 გოლი აქვს გატანილი, თანაც რომელიმე გამორჩეული ბომბარდირი არც კი ჰყავს. რაკი მოთამაშეებზე ვსაუბრობდით, აქვე დავძენ, რომ ლონდონელთა ნიგერიელი ნახევარმცველი, ატლანტის ოლიმპიადის ჩემპიონი სელესტინ ბაბაიარო შესაძლოა ხუთი კვირით ჩამოშორდეს ფეხბურთს — მან მუხლის ოპერაცია გაიკეთა.

შაბათს გამართულ მატჩებში „ბლექბერნმაც" იმარჯვა. ამ სეზონში როი ჰოჯსონის ალორძინებული გუნდი შესანიშნავად თამაშობს და ამ ხნის მანძილზე ერთი ჩავარდნა ჰქონდა „მანჩესტერ იუნაიტედთან". თუმცა ის საშინელი მარცხი ფეხბურთელებმა მაშინვე მიივიწყეს და მას შემდეგ ერთი მეტოქეც არ გაახარეს. ამჯერად ინგლისის 1995 წლის ჩემპიონმა ლონდონის „ვესტ ჰემი" გაამწარა. გამარჯვებულებს ბომბარდირი, ამ შეხვედრისთვის დისკვალიფიცირებული კრის სატონი აკლდათ, მაგრამ გოლების ნაკლებობა „ბლექბერნს" ნაღდად არ განუცდია. ანგარიში სტიუარტ რიპლიმ გახსნა, კაცმა, რომელსაც 1994 წლის აპრილის შემდეგ არ გაეტანა, მოგვიანებით კი 18 წლის დემიენ დაფმა კიდევ ორჯერ ახარა გუნდი. „ვესტ ჰემს" დაფის ორ გოლს შუა სტივ ლომასი გაუგდეს, მაგრამ ისიც რომ ყოფილიყო, „ჩაქუჩები" მეტოქის გამჩერებელნი არ იყვნენ.

რაც შეეხება პირველ დივიზიონს, ჩვენთვის საინტერესო „სიტიმ" „მიდლსბროს" 2:0 სძლია. ქართველთაგან გოლი არავის გაუტანია. ისე, „მანჩესტერ სიტი" დიდი უცნაური გუნდია — ლიდერებს ერთიმეორის მიყოლებით ამარცხებს, აუტსაიდერებთან და საშუალო გუნდებთან კი თავად აგებს.

**ლაშა გოდუაძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მანჩესტერი | 19 | 13 | 4 | 2 | 45:13 | 43 |
| ბლექბერნი | 19 | 11 | 6 | 2 | 36:19 | 39 |
| ჩელსი | 19 | 12 | 2 | 5 | 45:19 | 38 |
| ლიდსი | 19 | 10 | 4 | 5 | 28:19 | 34 |
| ლივერპული | 18 | 9 | 4 | 5 | 31:17 | 31 |
| არსენალი | 18 | 8 | 6 | 4 | 32:21 | 30 |
| დერბი | 19 | 8 | 5 | 6 | 33:27 | 29 |
| ლესტერი | 19 | 7 | 6 | 6 | 23:18 | 27 |
| ნიუკასლი | 18 | 7 | 5 | 6 | 20:22 | 26 |
| ვესტ ჰემი | 19 | 8 | 1 | 10 | 25:31 | 25 |
| უიმბლდონი | 18 | 6 | 5 | 7 | 19:21 | 23 |
| ასტონ ვილა | 19 | 6 | 4 | 9 | 20:25 | 22 |
| კრ. პალასი | 19 | 5 | 6 | 8 | 17:25 | 21 |
| შეფილდი | 19 | 6 | 3 | 10 | 31:43 | 21 |
| საუთჰემპტონი | 19 | 6 | 2 | 11 | 23:29 | 20 |
| ქოვენთრი | 19 | 4 | 8 | 7 | 17:25 | 20 |
| ბოლტონი | 19 | 4 | 8 | 7 | 16:29 | 20 |
| ტოტენჰემი | 19 | 5 | 4 | 10 | 17:32 | 19 |
| ევერტონი | 19 | 4 | 5 | 10 | 17:27 | 17 |
| ბარნსლი | 19 | 4 | 2 | 13 | 17:50 | 14 |

### პირველი დივიზიონი

23-ე ტური. ბერი — შეფილდი 1:1; ქრიუ — სანდერლენდი 0:3; სიტი — მიდლსბრო 2:0; ნორვიჩი — სტოკ სიტი 0:0; ნოტინგემი — სტოკპორტი 2:1; პორტ ვეილი — იფსვიჩი 1:3; პორტსმუთი — ჩარლტონი 0:2; რედინგი — ვულვერჰემპტონი 0:0; სვინდონი — ბირმინგემი 1:1; ტრანმერი — ოქსფორდი 0:2; ვესტ ბრომვიჩი — ჰადერსფილდი 0:2; ქუინზ პარკი — ბრედფორდი 1:0

## იტალია

XIII ტური

**ბარი 0:0 პიაჩენცა**

**ბრეშა 1:1 რომა**
1:0 ჰუბნერი (15), 1:1 პაულო სერჯიო (85)

**ფიორენტინა 5:0 ატალანტა**
1:0 პადალინო (27), 2:0 სერენა (48), 3:0 ოლივეირა (79), 4:0 ბატისტუტა (85), 5:0 რობიატი (92)

**იუვენტუსი 5:2 ემპოლი**
1:0 ინძაგი (15), 2:0, 3:0 დელ პიერო (16, 27), 3:1 ფლორიანჩიჩი (41), 4:1 დელ პიერო (54), 4:2 ესპოზიტო (72პ), 5:2 ტონეტო (78ს.კ.)

**ლაციო 4:0 ვიჩენცა**
1:0 კაზირაგი (6), 2:0 ფუზერი (63), 3:0 ვენტურინი (70), 4:0 ბოკშიჩი (91)

**მილანი 0:0 ბოლონია**

**პარმა 2:1 ლეჩე**
1:0 ბაჯო (53), 2:0 კიეზა (62), 2:1 როსი (71)

**სამპდორია 6:3 ნაპოლი**
0:1 ბელუჩი (15), 1:1 ბოგოსიანი (35), 2:1 3:1 მონტელა (42პ, 60), 3:2 პროტი (69), 4:2 კლინსმანი (72), 5:2 ლაილი (76), 5:3 როსიტო (77), 6:3 მონტელა (90პ)

**უდინეზე 1:0 ინტერი**
1:0 ბირჰოფი (90)

მსაჯის მიერ დამატებულ წუთებს ითვლიდა ქრონომეტრი, როდესაც „უდინეზეს" გერმანელმა ფორვარდმა ოლივერ ბორჰოფმა მილანელ მეურვეს ფრენაში აჯობა და თაური დარტყმით ჩემპიონატის აქამდე დაუმარცხებელ ლიდერს პირველი წაგება მიუსაჯა. ეს გოლი ბირჰოფისთვის მე-13 გახლდათ ამ სეზონში, რომელთაგან 9 სერია A-ში გაიტანა.

„უდინეზემ" ამ მოგებით განაგრძო იღბლიანი სვლა, რომლის განმავლობაშიც, წინა ტურში, ბარიში ნათამაშევ უგოლო ფრეს თუ არ ჩავთვლით, „ბრეშას", „ლაციოს" და „ბოლონიას" კარში 11 გოლი გაიტანა. გუნდი მესამე ადგილზეა, ასე მაღლა კი ისტორიაში არ ყოფილა.

„ინტერი" მართალია ცხრილის სათავეში დარჩა, მაგრამ მასსა და „იუვენტუსს" შორის მანძილი ერთ ქულამდე შემცირდა, რამეთუ ტურინის გუნდმა ალესანდრო დელ პიეროს ჰეთ-თრიქის შემწეობით 5:2 სძლია „ემპოლის". სერია A-ს დებიუტანტებმა შეხვედრის დასაწყისშივე ორი გოლი გაუშვეს, ერთი ფილიპო ინძაგის, მეორე კი დელ პიეროს მონდომების შემდეგ. შემდეგ, დელ პიერომ თავისივე დარტყმული ჯარიმიდან ასხლეტილი ბურთი იგდო ხელთ და უფრო გაზარდა ანგარიში. კიდევ სამ წუთში „ბებერი ქალბატონის" გარემარბმა მიმდინარე სეზონში თავისი პირველი ჰეთ-თრიქი შეასრულა და თუმც „ემპოლიმ" თავის წილ ორის გატანა შეძლო, ტურინელებმა სამი ქულა და ერთადერთი დაუმარცხებელი გუნდის სახელი მოიპოვეს.

კიდევ ერთი ჰეთ-თრიქი „ემპოლის" ყოფილმა მოთამაშემ ვინჩენცო მონტელამ შეასრულა — მისმა „სამპდორიამ" აუტსაიდერ „ნაპოლის" 6:3 მოუგო. დელ პიეროსგან განსხვავებით მონტელას ჰეთ-თრიქი შედარებით გაუიოლდა. ვინაიდან ამ თავდამსხმელმა სამიდან ორი თერთმეტმეტრიანიდან შეაგდო. პირველი პენალტი „ლაციოს" ყოფილი ვარსკვლავის ჯუზეპე სინიორის წაქცევისთვის დაინიშნა. სინიორი, მოგვიანებით გერმანელმა იურგენ კლინსმანმა შეცვალა და ტრავმებით გაწამებულს გაუმართლდა კიდეც — გოლი გაიტანა.

„პარმამ" ულამაზო შეხვედრაში სძლია „ლეჩეს". თუმცა სამი ქულის მოპოვებით გამოწვეულმა სიხარულმა თამაშის ხარისხის გამო გაჩენილი უკმაყოფილების გრძნობა გადაფარა.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ინტერი | 13 | 9 | 3 | 1 | 29:13 | 30 |
| იუვენტუსი | 13 | 8 | 5 | 0 | 31:11 | 29 |
| უდინეზე | 13 | 8 | 2 | 3 | 26:22 | 26 |
| პარმა | 13 | 7 | 4 | 2 | 24:10 | 25 |
| რომა | 13 | 6 | 5 | 2 | 24:14 | 23 |
| ლაციო | 13 | 6 | 3 | 4 | 21:13 | 21 |
| ფიორენტინა | 13 | 5 | 5 | 3 | 29:15 | 20 |
| მილანი | 13 | 5 | 5 | 3 | 17:12 | 20 |
| სამპდორია | 13 | 5 | 4 | 4 | 24:25 | 19 |
| ვიჩენცა | 13 | 5 | 3 | 5 | 17:26 | 18 |
| ბრეშია | 13 | 4 | 2 | 7 | 17:22 | 14 |
| ემპოლი | 13 | 4 | 1 | 8 | 19:26 | 13 |
| ბოლონია | 13 | 2 | 6 | 5 | 20:22 | 12 |
| პიაჩენცა | 13 | 2 | 6 | 5 | 10:17 | 12 |
| ბარი | 13 | 3 | 3 | 7 | 10:22 | 12 |
| ატალანტა | 13 | 3 | 2 | 8 | 12:23 | 11 |
| ლეჩე | 13 | 3 | 1 | 9 | 10:24 | 10 |
| ნაპოლი | 13 | 1 | 2 | 10 | 11:34 | 5 |

### სერია B

მე-15 ტური. დი სანგრო — ვენეცია 1:3; კიევო — ანკონა 0:1; ლუკეზე — კალიარი 1:2; პადოვა — ფ. ანდრია 0:0; პერუჯა — ფოჯა 2:2; რავენა — მონცა 1:1; რეჯანა — ვერონა 0:1; რეჯინა — პესკარა 0:0; სალერნიტანა — ტორინო 2:1; ტრევიზო — ჯენოა 2:1

## ესპანეთი

XVIII ტური

**კომპოსტელა 0:0 დეპორტივო**

**სპორტინგი 0:3 ვალენსია**
0:1 ფარინოსი (10პ), 0:2, 0:3 ლოპესი (43, 66)

**ტენერიფე 0:0 სოსიედადი**

**ბარსელონა 3:1 ატლეტიკო**
0:1 რობერტო (21), 1:1 ლუის ენრიკე (48), 2:1 ჯოვანი (65პ), 3:1 ლუის ენრიკე (70)

**რასინგი 2:0 ბეტისი**
1:0 კორეა (48), 2:0 რუისი (88)

**რეალი 2:1 ესპანიოლი**
0:1 როხო (15), 1:1, 2:1 შუკერი (17, 72)

**ვალიადოლიდი 4:0 სარაგოსა**
1:0 ფერნანდესი (24), 2:0 პეტერნაჩი (50), 3:0 ჟულიო ცეზარი (74), 4:0 კალვო (85)

**ბილბაო 5:1 მერიდა**
1:0 გერერო (6), 2:0 რიოსი (37), 3:0 ურსაისი (48), 3:1 სინვალი (69), 4:1 გონსალესი (85), 5:1 ეჩებარია (87)

**სელტა 3:0 ოვიედო**
1:0 კადეტე (64), 2:0 რევივო (84), 3:0 კარპინი (90)

**მალიორკა — სალამანკა**
*დღეს გაიმართება*



**ბარსელონა — ატლეტიკო. პიცი (მარჯვნივ) ამჯერად აგილერას ვერ გასცდა**

რაკი წინა, ავდრიან ტურში „ბეტის" — „ბარსელონა" გადაიდო, კატალონიელები „რეალს" ერთი ქულითღა უსწრებდნენ. ამ სხვაობის ოთხამდე გაზრდა „ბარსამ" მხოლოდ ერთი დღით შეძლო, როცა ტურის ცენტრალურ მატჩში მადრიდის „ატლეტიკოს" მოუგო. ბოლო მატჩებში ესპანური ფეხბურთის ამ სამმა ლიდერმა წამყვანი მოთამაშენი მოისაკლისა — კონფედერაციათა თასზე გაშვებული ლეგიონერების თუ ტრავმირებულ-დისკვალიფიცირებულთა ჩათვლით. „ბარსელონამაც" და „რეალმაც" თავი ხიფათში ჩაიგდეს — თავიდან ორივე აგებდა, მაგრამ „კამპ ნოუს" ლუის ენრიკეს დუბლმა მოჰფინა ნათელი, „ბერნაბეუს" კი შუკერისამ. ბარსელონაში ტრადიციულად სამარქაფო პიციმაც გამოიჩინა თავი, რომელმაც ლომის წილი დაიდო ორ გოლში.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბარსელონა | 17 | 13 | 1 | 3 | 38:20 | 40 |
| რეალი | 18 | 11 | 6 | 1 | 32:14 | 39 |
| სოსიედადი | 18 | 8 | 8 | 2 | 25:12 | 32 |
| სელტა | 18 | 9 | 4 | 5 | 30:20 | 31 |
| ბილბაო | 18 | 8 | 7 | 3 | 28:20 | 31 |
| ატლეტიკო | 18 | 8 | 6 | 4 | 39:24 | 30 |
| ესპანიოლი | 18 | 7 | 8 | 3 | 25:13 | 29 |
| ბეტისი | 17 | 7 | 5 | 5 | 23:23 | 26 |
| მალიორკა | 17 | 6 | 6 | 5 | 25:17 | 24 |
| სარაგოსა | 18 | 6 | 6 | 6 | 28:33 | 24 |
| რასინგი | 18 | 6 | 5 | 7 | 20:22 | 23 |
| ოვიედო | 18 | 5 | 8 | 5 | 18:23 | 23 |
| ვალენსია | 18 | 6 | 3 | 9 | 20:23 | 21 |
| ვალიადოლიდი | 18 | 5 | 5 | 8 | 17:25 | 20 |
| სალამანკა | 17 | 4 | 5 | 8 | 13:20 | 17 |
| მერიდა | 18 | 4 | 5 | 9 | 13:27 | 17 |
| დეპორტივო | 18 | 2 | 10 | 6 | 17:22 | 16 |
| კომპოსტელა | 18 | 3 | 7 | 8 | 22:33 | 16 |
| ტენერიფე | 18 | 3 | 6 | 9 | 14:29 | 15 |
| სპორტინგი | 18 | 0 | 3 | 15 | 15:42 | 3 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| ლუის ენრიკე (ბარსელონა) | 11 |
| რივალდო (ბარსელონა) | 10 |
| კრისტიან ვიერი (ატლეტიკო) | 8 |
| ფერნანდო მორიენტესი (რეალი) | 8 |
| პაულეტა (სალამანკა) | 8 |
| ხუან ესნაიდერი (ესპანიოლი) | 8 |
| ალენ პეტერნაჩი (ვალიადოლიდი) | 8 |

### მეორე დივიზიონი

მე-20 ტური. ნუმანსია — სერესი 1:1; ელჩე — ხაენი 1:0; ესტრემადურა — ორენსე 3:1; ბადახოსი — ლეიდა 1:0; ლოგრონიესი — ლას პალმასი 0:1; სევილია — ეიბარი 1:1; ატლეტიკო B — ალბასეტე 2:0; ლეგანესი — ტოლედო 3:1; ალავესი — ვილიარეალი 5:1; ლევანტე — რაიო 1:0; ოსასუნა — ერკულესი 2:1

### ფეხბურთის რუკასთან

**საფრანგეთის** ნაკრების ყოფილი მეკარე ბერნარ ლამა შესაძლოა, „ვესტ ჰემში" გადავიდეს. 34 წლის ლამას ლონდონელებმა კარიერის ბოლომდე შესთავაზეს კონტრაქტი, რაშიც დიდი როლი „ვესტ ჰემის" მწვრთნელ ჰარი რედნაპს მიუძღვის. ლამას ქვეყნის ნაკრებში 34-ჯერ უთამაშია, მაგრამ ბოლოს თითქოს დაითარსაო, ყველა საქმეში ხელი მოეცარა.

**ხორვატი** ნახევარმცველი ალიოშა ასანოვიჩი იტალიის ორგზის ჩემპიონ „ნაპოლიში" გადაბარგებას აპირებს. ასანოვიჩი ნეაპოლში შაბათს გაფრინდა დაჩაჩანაკებული გუნდის ხელმძღვანელობასთან გასასაუბრებლად. კონტრაქტს კი ალბათ ამ დღეებში მოაწერს ხელს. ამ სეზონში ასანოვიჩმა ვერ დაიმკვიდრა ადგილი „დერბის" ძირითად შემადგენლობაში.

**ფრანგი** თავდამსხმელი კრისტოფ დიუგარი 5 მილიონ 300 ათას დოლარად „ბარსელონიდან" „მარსელში" გადავიდა. 25 წლის ფეხბურთელმა ახალ კლუბში გადასვლასთან გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, ბარსელონაში რთული სეზონი მქონდა, ახლა ვიმედოვნებ, ფორმას დავიბრუნებ და სამსოფლიოსჩემპიონატოდ ნაკრებში ადგილს დავიჯავშნიო.

**გერმანიის** თასის ნახევარფინალში ამ ჯილდოს მფლობელი „შტუტგარტი" ჩემპიონ „ბაიერნს" შეხვდება. მეორე ფინალისტის ვინაობას კი ტრიერის „აინტრახტი" და „დუისბურგი" გაარკვევენ. მატჩები 17 და 18 თებერვალს ჩატარდება.

**ბულგარელი** ხრისტო სტოიჩკოვი ორ თვეში უკვე მეორე ოპერაციას გაიკეთებს მარცხენა მუხლზე და ფეხბურთის თამაშს, სულ მცირე, კიდევ ერთი თვე ვერ შეძლებს.

**გერმანიის** ორმა დიდებულმა მწვრთნელმა ოტო რეჰაგელმა და კრისტოფ დაუმმა უცხოელთა ცდუნებებს გაუძლეს და თავიანთ კლუბებს კონტრაქტების გახანგრძლივებაზე დაყაბულდნენ. დაუმი ლევერკუზენში 2001 წლამდე დარჩება, ხოლო რეჰაგელი კიდევ ორი წლის განმავლობაში ეცდება, სისხლი გაუშროს მიუნხენის „ბაიერნს".

**ესპანურმა** „დეპორტივომ" არგენტინული „ბოკა ხუნიორსისგან" 3,1 მილიონ დოლარად შეიძინა ურუგვაის ნაკრების თავდამსხმელი სერხიო მარტინესი. ეს 28 წლის ფეხბურთელი, რომელიც არგენტინის ლიგის სამგზის საუკეთესო მეგოლეა, გალისიაში 2001 წლის ივლისამდე დარჩება. გარდა მარტინესისა, „დეპორტივომ" წინა კვირაში მისი თანამემამულე შემტევი სებასტიან აბრეუ, მაროკოელი თავდამსხმელი მუსტაფა ჰაჯი და იტალიური პასპორტის მქონე არგენტინელი ძმები — ლიონელ და მაურიო სკალონები შეიძინა. ამ ამბავს ლიგაში მე-17 ადგილზე მდგარმა კლუბმა 17,5 მილიონი დოლარი დაახარჯა.

**ჩრდილოირლანდიელმა** კეიტ გილესპიმ, რომელიც ამჟამად „ნიუკასლის" ღირსებას იცავს, შაბათს განაცხადა, რომ არ აპირებს „მანჩესტერ იუნაიტედში" დაბრუნებას: „მართალია, კონტრაქტის ამოწურვამდე, კიდევ წელიწადნახევარი დამრჩა, მაგრამ ახლა მისი გახანგრძლივება რომ შემოეთავაზებინათ, დაუფიქრებლად დავთანხმდებოდი. მე აქ დიდებულად ვგრძნობ თავს და კარიერასაც სიამოვნებით დავასრულებდი „სენტ ჯეიმზსზე" — ინატრა 22 წლის გარემარბმა.

## შოტლანდია

მე-18 ტური. სელტიკი — ჰიბერნიანი 5:0; დანდი იუნაიტედი — სენტ ჯონსტონი 2:1; ჰართსი — რეინჯერსი 2:5; კილმარნოკი — აბერდინი 1:0; მოზერველი — დანფერმლაინი 2:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეინჯერსი | 18 | 11 | 6 | 1 | 47:20 | 39 |
| სელტიკი | 18 | 12 | 2 | 4 | 34:12 | 38 |
| ჰართსი | 18 | 12 | 1 | 5 | 39:23 | 37 |
| დანდი იუნ. | 18 | 6 | 6 | 6 | 29:26 | 24 |
| კილმარნოკი | 18 | 6 | 4 | 8 | 17:33 | 22 |
| დანფერმლაინი | 18 | 5 | 6 | 7 | 21:34 | 21 |
| სტ ჯონსტონი | 18 | 5 | 5 | 8 | 19:26 | 20 |
| მოზერველი | 18 | 5 | 4 | 9 | 23:29 | 19 |
| ჰიბერნიანი | 18 | 3 | 5 | 10 | 23:32 | 14 |
| აბერდინი | 18 | 2 | 7 | 9 | 17:34 | 13 |



ეროვნული ბიბლიოთეკა

## საფრანგეთი

XXI ტური

**ბასტია 0:1 ლიონი**

0:1 ბრაგო (55)

**ოსერი 4:2 ბორდო**

1:0 დჟნიუ (16), 1:1 ზანოტი (33), 2:1 დჟნიუ (44), 3:1 გივარში (543), 3:2 პაპენი (65), 4:2 გივარში (84)

**მონპელიე 1:2 ლანსი**

0:1 ვივიენ ფოე (74), 0:2 დებევე (81), 1:2 გარნი (85)

**სტრასბური 2:0 ტულუზი**

1:0 მიციელი (26), 2:0 ბატიკლი (72)

**რენი 1:2 პსჟ**

0:1 რაბესანდრატანა (44), 1:1 გუსე (63), 1:2 ალჟერინო (82)

**კანი — შატორუ** და **მარსელი — გინგამი** გადაიდო

# ის უყვართ, მაგრამ სხვას შესცქერიან

საფრანგეთის სამხრეთში მდებარე მეცის გუნდი არასდროს ყოფილა განსაკუთრებული ყურადღების ცენტრში. არც ფრანგული ფეხბურთის მწვერვალთან მდგარა ოდესმე ისე ახლოს, როგორც ახლაა. „მეცმა" ბოლო ტურში „მონაკოს" 3:0 მოუგო და საშობაოდ პირველ ადგილზე დამკვიდრდა.

თუმც ციდან ვარსკვლავები არასდროს უკრეფია, „მეცზე" მაჩანჩალააო ვერავინ იტყვის. გუნდს სარეკორდო 48 სეზონი აქვს ქვეყნის პირველ დივიზიონში გატარებული, 1967 წლის შემდეგ კი ამ დივიზიონიდან არ გავარდნილა. და მაინც, ცხრილის კენწეროში მეცელებს არავინ ელოდა. მით უფრო არავინ ელოდა იმას, რაც მათ დაეტყოთ — გუნდს აშკარად შესწევს უნარი მეორე წრეც ღირსეულად ჩაატაროს.

„მეცმა" საშემოდგომო ჩემპიონის სიმბოლური ტიტული დაისაკუთრა, თუმცა მისი 64 წლის პრეზიდენტი კარლო მოლინარი ამით არ კმაყოფილდება და პერსპექტივაზე ლაპარაკობს. ის ამბობს, რომ მის ფეხბურთელებს მიღწეული არ დაამშვიდებს.

მოლინარი ფრთხილი, წინდახედული კაცია, იცის, რომ ფეხბურთში ფეხის დაცდენა ყოველ წუთსაა მოსალოდნელი და ამიტომ სახელგანთქმული ვარსკვლავების ყიდვაში ფულის ხარჯვას ერიდება.

— დღეს სწორ გზას ვადგავართ და იმედი მაქვს არ გადავუხვევთ. ცოტა საშობაო არდადეგების მეშინია. კაცმა არ იცის, ფეხბურთელები სამკვირიან შესვენებას როგორ იგუებენ — ბრძანებს პრეზიდენტი.

არადა, „მეცის" მეტოქეები სხვაგვარად მსჯელობენ. მაგალითად, მონაკოელთა თავკაცის ჟან ტიგანას აზრით სულაც არაა გამორიცხული, რომ საფრანგეთმა მეხუთე წლიწადში მეხუთე ჩემპიონი იხილოს. დიახ, აქამდე ჩემპიონები იყვნენ „პარი სენ ჟერმენი", „ნანტი", „ოსერი" და „მონაკო".

— „მეცი" დიდებული ლიდერია და ვგონებ ჩემპიონობაც ხელეწიფება — აცხადებს ტიგანა.

დაარსების ანუ 1932 წლის შემდეგ „მეცმა" თითზე ჩამოსათვლელი ჯილდოები მოიპოვა. ესენია საფრანგეთის თასი (1984, 1988) და ლიგის თასი (1996). ფეხბურთელების და კლუბის ხელმძღვანელთა აზრით გუნდის ახლანდელი აღმასვლა პირდაპირ კავშირშია 1990 წელს მოსულ მწვრთნელთან ჟოელ მულერთან. მულერმა ფეხბურთელის კარიერა სწორედ „მეცში" დაიწყო, შემდეგ კი „ლიონსა" და „ნიცაში" მოღვაწეობდა. იგი ვარსკვლავი არასდროს ყოფილა, სასარგებლო, მუშა მოთამაშე გახლდათ.

— მულერს შრომა დაუფასდა. ის მებრძოლად ჩამოყალიბდა — ამბობდა მასზე „მეცის" კამერუნელი მცველი რიგობერტ სონგი.

მულერის შრომისმოყვარეობამ პედაგოგობაშიც გამოიღო ნაყოფი. მის გუნდს დღეს ნაღდი ამბიცია აქვს.

— სეზონის პირველივე შეხვედრიდან მიზნად საუკეთესო ხუთეულში მოხვედრას ვისახავდი, თუმცა ახლა მადა მოგვემატა და იმედი გვაქვს, რომ საგაისო ჩემპიონთა ლიგაში მონაწილეობის უფლებას მოვიპოვებთ — თქვა სონგმა.

რატომაც არა? „მეცმა" ამ სეზონში „პარი სენ ჟერმენსაც" მოუგო და „მონაკოსაც", ჩემპიონთა ლიგის ახლანდელი გათამაშების მონაწილე ორივე ფრანგულ გუნდს. თუ დარჩენილ კალენდარსაც გადავხედავთ, ვნახავთ, რომ გუნდისთვის ის უფრო ხელსაყრელია, ვიდრე გასული განრიგი.

თუ „მეცი" ჩემპიონი გახდება ან მეორე ადგილს დაიკავებს, ჩემპიონთა ლიგის საგზურსაც მიიღებს და თავის მთავარ ფეხბურთელს რობერ პირესაც შეინარჩუნებს.

— რაც გვიან გადავა პირე სხვა გუნდში, მით უკეთესი ჩვენთვის — ამბობს მოლინარი, რომელიც ამ ფეხბურთელის გაყიდვით ალბათ კარგ ფულს მიიღებს.

პირე იანვარში 25 წლის გახდება. ის გამთამაშებელია და ხშირად „ინტერის" იური ჯორკაფეს ადარებენ. მას რამდენიმე ესპანური გუნდი ეპატიჟება, თუმცა მათზე მეტ დაჟინებას გერმანული „ლევერკუზენი" იჩენს. მიუხედავად სარფიანი შეთავაზებებისა, პირე ჯერჯერობით „მეციდან" წასვლას არ ჩქარობს. იმედი აქვს, რომ საფრანგეთში ყოფნით სამფეროვანთა ნაკრების მწვრთნელს ემე ჟაკეს უფრო მოაწონებს თავს და მოახლოებულ მსოფლიოს ჩემპიონატში მიიღებს მონაწილეობას.

პირეს გარდა ლიდერის ხერხემალი შედგება მასავით პერსპექტიული მოთამაშეებისგან ლიონელ ლეტიზისგან, რომელიც გუნდის კარს იცავს, ვეტერანი მცველისგან, 34 წლის სილვინ კასტენდუშისგან და ბელგიელი დენი ბოფინისგან. ერთადერთი, რაც „მეცს" აკლია, ხიბლია და ეს მოლინარიმ ძალიან კარგად უწყის.

— ჩვენ ძირითადად სხვათა გამამწარებლები ვართ. ხალხს ვუყვარვართ, მაგრამ ტელევიზიით „პარი სენ ჟერმენისა" და „მარსელის" თამაშებს უყურებენ — ამბობს მოლინარი.

„მეცზე" საგანგებო საუბარი მისმა მოულოდნელმა ლიდერობამ გამოიწვია. „მონაკოს" ძლევით ცხრილის სათავეში ასვლა მას ბუნებამაც აცალა, იმ ბუნებამ, რომელმაც ფრანგთა პირველობის შობისწინა ტურში ორი თამაში ჩაშალა. მხედველობაში გვაქვს მარსელის „ველოდრომზე" გასამართი შეხვედრა „ოლიმპიკსა" და „გინგამს" შორის, აგრეთვე კანში დანიშნული „კანი" — „შატორუ". ორივე ქალაქში ნაწვიმარ მოედანზე ისეთი გუბე იდგა, რომ თამაში გამორიცხებოდა. ეს ორი მატჩი ჩემპიონატის ორგანიზატორებმა 14 იანვრისთვის გადაიტანეს.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მეცი | 21 | 12 | 6 | 3 | 34:18 | 42 |
| პსჟ | 21 | 12 | 5 | 4 | 34:18 | 41 |
| მონაკო | 21 | 13 | 2 | 6 | 34:21 | 41 |
| მარსელი | 20 | 11 | 4 | 5 | 26:14 | 37 |
| ლანსი | 21 | 11 | 4 | 6 | 30:24 | 37 |
| ოსერი | 21 | 10 | 3 | 8 | 36:29 | 33 |
| ბორდო | 21 | 8 | 8 | 5 | 26:24 | 32 |
| ბასტია | 21 | 7 | 8 | 6 | 22:17 | 29 |
| ლიონი | 21 | 9 | 2 | 10 | 24:24 | 29 |
| ტულუზი | 21 | 6 | 7 | 8 | 17:26 | 25 |
| მონპელიე | 21 | 5 | 9 | 7 | 20:23 | 24 |
| გინგამი | 20 | 6 | 6 | 8 | 19:22 | 24 |
| ნანტი | 21 | 6 | 5 | 10 | 20:26 | 23 |
| ლე ავრი | 21 | 4 | 10 | 7 | 19:23 | 22 |
| სტრასბური | 21 | 5 | 6 | 10 | 22:29 | 21 |
| შატორუ | 20 | 5 | 4 | 11 | 18:32 | 19 |
| რენი | 21 | 4 | 5 | 12 | 21:35 | 17 |
| კანი | 20 | 5 | 2 | 13 | 19:36 | 17 |

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| სტეფან გივარში (ოსერი) | 15 |
| ვიქტორ იკპება (მონაკო) | 12 |
| დავიდ ტრეზეგი (მონაკო) | 10 |
| ლილიან ლასლანდი (ბორდო) | 10 |
| რობერტ პირესი (მეცი) | 10 |



შობის წინ ყველასთვის მოულოდნელად I ადგილზე „მეცი" დამკვიდრდა

# ახალი კაცის [illegible]



სერბი ბორა მილუტინოვიჩის ნიგერიის ეროვნული ნაკრების თავკაცად დანიშვნამ ამ ქვეყანაში არაერთგვაროვანი რეაქცია გამოიწვია. აფრიკის წლის საუკეთესო ფეხბურთელ ვიქტორ იკპებას, მაგალითად, ეჭვები ღრღნის, მაგრამ იგი იმედოვნებს, რომ პირველი ვარჯიშის შემდეგ უკეთესი წარმოდგენა შეექმნება ახალ მწვრთნელზე. ნაკრების საფინანსო კონსულტანტს, ვინმე ბოდე ბაბალადეს კი უკვე მკაფიოდ ჩამოყალიბებული აზრი გააჩნია — მართალია, მილუტინოვიჩს მსოფლიოს ჩემპიონატებზე ასპარეზობის დიდი გამოცდილება აქვს, მაგრამ მისი კონტრაქტი მოთამაშეებისთვის პრემიების დარიგებას დააბრკოლებს. ფეხბურთელ მაკფორი დიბოვუნს ბორას სათამაშო სტილი არ მოსწონს, მისი უგოლო ფრეები სულაც არ ეპიტნავებათ და უკვე სახელდახელო მეტსახელიც მოუძებნეს — მოსაწყენი ბორა შეარქვეს.

ნიგერიელი სატელევიზიო მიმომხილველების თქმით კი, ბრაზილიელი ოტო გლორიას შემდეგ, რომელმაც პორტუგალიას 1966 წელს მსოფლიოს ჩემპიონატზე ბრინჯაო, ხოლო 1980-ში ნიგერიას პირველი აფრიკული ტრიუმფი მოუტანა, ლაგოსის აეროპორტში ასეთ სპეციალისტს ფეხი არ დაუდგამს. თავად ბორა თვლის, რომ „ზეარწივებს", მიუხედავად უდისციპლინობისა, მსოფლიოს ჩემპიონობა ხელეწიფებათ და იმედოვნებს, ყველაფერი ძალიან კარგად იქნება.

## კალათბურთი

# ჩემპიონი გადარჩა

ვერის ბაღი

საქართველოს VII ჩემპიონატი

20 დეკემბერი

**ვითა 101:100 შევარდენი**

**ვითა:** აბრამიძე (6), გაგნიძე (14), ლოსაბერიძე (30), ორმოცაძე (18), ჩუბინიძე (18), მიქაძე (10), კორძაძე (4), ბახტაძე (1), დავითულიანი, კობეშავიძე, ვაშაკიძე

**შევარდენი:** ორჯონიკიძე (22), კაზანჯიანი(28), მაჭავარიანი (22), გიგაური (12), ღვინეფაძე (11), არსიაშვილი (5), ჩარგეიშვილი

„ვითა" ბეწვზე გადარჩა. ჩემპიონმა კარგად დაიწყო შეხვედრა და სხვაობა ანგარიშში 18 ქულაც კი იყო. პირველი ნახევარი კი ვითელებმა ცხრაქულიანი უპირატესობით დაამთავრეს 50:41.

მეორე ტაიმში „შევარდენელებმა" თავიანთი კოზირის — სამქულიანი ტყორცნების გამოყენება სცადეს და შედეგიანადაც. მაჭავარიანისა და კაზანჯიანის ზუსტმა შორეულმა სროლებმა „შევარდენს" სხვაობის შემცირების შესაძლებლობა მისცა. მატჩის დამთავრებამდე 5 წუთით ადრე „შევარდენი" წინაც გავიდა სამი ქულით. ვითელებმა ლოსაბერიძისა და ჩუბინიძის კარგი თამაშის წყალობით კვლავ მოახერხეს დაწინაურება, მაგრამ მატჩის ბედი მაინც უკანასკნელ წამებში გადაწყდა. „ვითა" ქულას იგებდა. დამთავრებამდე 12 წამია და ბურთს „შევარდენი" ფლობს. ორჯონიკიძემ სწრაფად გადაიტანა ბურთი მეტოქის მოედანზე, მაგრამ ვითელებმა ფართან მისასვლელი გზები გადაკეტეს და კაზანჯიანი იძულებული გახდა, შორიდან ესროლა. გიამ ამ მატჩში შვიდი სამქულიანი ჩააგდო, მაგრამ ამჯერად არ გაუმართლა... ჩემპიონმა უძნელესი გამარჯვება მოიპოვა.

**სდასუ 83:72 დინამო 2**

**სდასუ:** ჩხეიძე (11), აბულაძე (11), ტაბატაძე (8), ნაცვლიშვილი (16), ოთიურიძე (21), ჩერქეზიშვილი (7), დერიუგინი (9), ახობაძე

**დინამო 2:** ვეფხვაძე (8), უჩუმბეგაშვილი (3), გრძელიშვილი (12), ხეცურიანი (25), ფსუტური (17), სიხარულიძე (2), მშვილდაძე (5)

21 დეკემბერი

მეორე ჯგუფმა მეორე წრის მატჩები დაიწყო. დროებით მათაც გამოაკლდათ ერთი გუნდი — „მერანი", რომლის წევრებიც 83 წელს დაბადებულთა საქართველოს ნაკრების შემადგენლობაში იტალიაში გაემგზავრენ საერთაშორისო ტურნირზე. ასე რომ, ამ ჯგუფში 6 გუნდი ასპარეზობს, ხოლო „მერანი", ისევე როგორც „კოლხა", გამოტოვებულ თამაშებს 20 იანვრიდან აინაზღაურებს.

**აზოტი 121:74 ასძ**

**აზოტი:** გაბისონია, წიკლაური (8), გოგობერიშვილი (24), ბოისა (23), ჯაფარიძე (30), ხაიაური (2), კიკვიძე (11), გოგოლაძე (4), ბერუაშვილი (7), კოჭლამაზაშვილი (2), კეჭაყმაძე (4), ჯიმშელეიშვილი (6)

**ასძ:** დ. მოისწრაფიშვილი (7), ჩხაიძე (12), თაბუაშვილი (17), პაპასკირი (6), მინაშვილი (12), მოისწრაფიშვილი, აკულაშვილი (4), ჭყონია (4), გაგნიძე (1), ნუცუბიძე (2), ქართველიშვილი (9)

ლიდერმა მეორე წრეც საკადრისად დაიწყო და მალევე მოათავა საქმე.

**თსუ 82:73 მაკაბი**

**თსუ:** ჟღენტი (7), ცხვედიანი (7), წოწელია (34), ბაბიაშვილი (6), ნიჟარაძე (8), არსიაშვილი (9), ნიკოლაძე (10), კიკაბიძე (1), გელაშვილი, ქარჩავა.

**მაკაბი:** ხუხაშვილი (22), ანდღულაძე (12), ტალაბაძე (14), ახალკაცი (12), ფერიაშვილი (11), ცაცებაშვილი, ენდელაძე (2)

მაკაბიმ ჩინებულად დაიწყო შეხვედრა. ახალკაცმა და ტალაბაძემ წუთში ხუთი ქულა მიითვალეს. მართალია, წოწელიამ მალევე გაქვითა ეს სხვაობა, მაგრამ ხუხაშვილისა და ახალკაცის მეცადინეობით „მაკაბი" 6 ქულით დაწინაურდა. სტუდენტები თავიანთ თავს არ ჰგავდნენ. არ წაუვიდა შორეული ტყორცნები არც ჟღენტს, არც ცხვედიანს, ვერც ბაბიაშვილი იყო ჩვეულ ფორმაში. მაკაბელებს შედეგიანად მხოლოდ წოწელია და ხანდახან ნიჟარაძე პასუხობდა. მე-10 წუთისთვის სტუ-მ მაინც მოახერხა დაწევა, მაგრამ აქ ანდღულაძემ მოიწადინა და „მაკაბიმ" წუთში ცხრაქულიან სხვაობას მიაღწია. მათ შეეძლოთ, უფრო დიდი უპირატესობისთვის მიეღწიათ, მაგრამ გოჩა წოწელია თითქმის მარტო ებრძოდა მოწინააღმდეგეს და იმდენი ქნა, როცა ტაიმის დამთავრებას 1,35 წუთი აკლდა, თავისი გუნდი წინ გაიყვანა — 34:32, ბაბიაშვილმაც წაუმატა სხვაობას და ჟღენტმა კი პირველად ამ მატჩში ისეთი ბურთი ჩააგდო, ყველა მისი უშედეგო ნასროლი გამოისყიდა: ბოლო წამებზე მეტოქეს ხელიდან ბურთი აართვა, ბრძოლაში ორჯერ შემოიტარა ირგვლივ, რითაც ორი მცველი ჩამოიშორა, დრიბლინგით კიდევ ორს შუა გაძვრა და თითქმის ცენტრიდან სასტვენის ხმასთან ერთად მოათავსა ბურთი კალათში! 39:32 ტაიმი თსუმ მოიგო.

მეორეში სტუდენტებმა ისევ წოწელიას მეცადინეობით სწრაფად გაზარდეს სხვაობა და როცა მე-10 წუთზე მაკაბელთა თავდამსხმელი ფერიაშვილი მსაჯთან კამათისთვის გააძევეს, მატჩის ბედი გადაწყვეტილი ჩანდა. სტუდენტებმა მალე მიაღწიეს 20-ქულიან სხვაობას და დამშვიდნენ. ამით ისარგებლეს მაკაბელებმა და ხუხაშვილისა და ტალაბაძის შედეგიანი თამაშით ნელ-ნელა იწყეს სხვაობის შემცირება. მაგრამ დროზე იყოჩაღა ნიკოლაძემ: ტყორცნებიც ზუსტად შეასრულა, გუნდის თამაშიც დაალაგა და მოედანზე ჟღენტის დაბრუნება საჭირო აღარ გახდა.

**დინამო 105:55 რიონი**

**დინამო:** ჩიქოვანი (19), მაისურაძე (10), ბეჟანიშვილი (8), კილაძე (13), შენგელია (10); ხოშტარია (14), მეჭურჭლიშვილი (6), ნინიაშვილი (7), ბერია (10), ქევხიშვილი (6), შანიძე (2)

**რიონი:** წერეთელი (8), ჭეიშვილი (7), ჩიკვაშვილი (4), შანიძე (4), ჯალაღონია (21); აბდალაძე (7), შალიკიანი (2), ბერეკაშვილი (2), ჩიკვაშვილი (4), დარახველიძე

ამ მატჩში ღირშესანიშნავი ის იყო, რომ გულშემატკივარმა „დინამოს" შემადგენლობაში იხილა კახა შენგელია, რომელმაც ეს სეზონი სანკტ-პეტერბურგის „სპარტაკში" დაიწყო. როგორ ფორმაშია კახა, ამას ამ მატჩის მიხედვით ვერ დავადგენდით.

**კოტე მგალობლიშვილი**

## ნაგანო 98

# ნაგანოს ღმერთები შემოსწყრნენ

პარასკევს საბერძნეთში ნაგანოს ზამთრის ოლიმპიადისთვის მზის სხივებით ოლიმპიური ცეცხლი უნდა დაენთოთ, მაგრამ ბერძნულმა ცამ იაპონელებს მოწყალების თვალი აარიდა და თეთრ კაბებში გამოწყობილი მთავარ ქურუმ ქალს და მის 20 მხევალს ლოცვანი და საზეიმო ცერემონიალი წყალში გადაუვარა. რაკილა მსახიობ მარია პაბუკის თხოვნა აპოლონმა არ შეისმინა, უძველეს ოლიმპიურ სტადიონზე „ღვთიური ცეცხლი" უბრალო ასანთით დაანთეს და სანამ ძველბერძნულ ტუნიკებში გამოწყობილი „ქურუმი" და მისი თანმხლებნი საწრაფოდ იცვამდნენ თბილ სამოსს, დაფდაფთა ხმაურით პირველ მორბენალს გადასცეს. ცერემონიალს ხეებს ქოლგებით შეფარებული ხუთასიოდე იაპონელი ტურისტი და ასიოდე მოსეირე ბერძენი ადევნებდა თვალს. „ოლიმპიური წმინდა ცეცხლის დანთების ტრადიციული, მისტიკური ცერემონიალი მსოფლიოს ნაგანოს თამაშების მოახლოებას აუწყებს" — იხტიბარი არ გაიტეხა იქ მყოფმა ნაგანოს მერმა ტასუკო ცუკადამ. ნაგანოს თამაშების ცეცხლს ესტაფეტით ათენამდე ჩაიტანენ, სადაც ორშაბათს მორიგი საგანგებო რიტუალის შემდეგ იაპონელთ გადასცემენ.

ოლიმპიიდან ცეცხლი პირველად 1936 წლის ბერლინის ოლიმპიადაზე ჩაიტანეს და მას შემდეგ ოლიმპიური იდეალებისადმი ერთგულების ნიშნად ყოველი ოლიმპიადა სწორედ მისი ანთებით იხსნება.


**სარბიელი**

სპორტული გაზეთი

გამოდის ორშაბათობით, სამშაბათობით, ხუთშაბათობითა და შაბათობით

მთავარი რედაქტორი
ზურაბ ფოცხვერია

რედაქტორი
თამაზ მიგრიაული

სარედაქციო კოლეგია:
ილია ბაბუნაშვილი
ვახტანგ ბზიკაძე
ზაალ გიგინეიშვილი
ზურაბ მექველია

ფეხბურთის განყოფილება:
ლაშა გოდუაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, მერაბ მამულაშვილი, ონისე შინჯიკაშვილი

სხვა სახეობათა განყოფილება:
ილია მხეიძე, ავთანდილ სვანიძე, ლევან ჯავახიშვილი

კორესპონდენტი ქუთაისში
იუზა კაციტაძე

კორესპონდენტი ლონდონში
დავით მჭედლიშვილი

ფოტორეპორტიორები:
გურამ დოლენჯაშვილი
ბადრი კეთილაძე

სტილისტები: მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი

კომპიუტერული ცენტრი:
ელენე გელუტაშვილი, ნინო დვალიძე, სვეტა დევაძე, ლევან ჩხეიძე, გიორგი ხარატიშვილი, ბელა ხატიაშვილი, გურამ ხელაშვილი

გამომშვები ზურაბ ინაშვილი

დირექტორი
გიორგი ოქრომჭედლიძე

დამფუძნებელი: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა „მარდი"

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. საფოსტო მისამართი: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29